პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 113 (11117) | კვირა, 18 მაისი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შევქმნათ საქართველოში მძლავრი ქიმიური მრეწველობა

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობის დიადი ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც პარტიამ დასახა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქიმიური მრეწველობის დაჩქარებით განვითარებას. მოხსენებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა:

**„ქიმია მეტალურგიასთან, სათბობისა და ენერგეტიკულ მრეწველობასთან, მანქანათმშენებლობასა და სამშენებლო ინდუსტრიასთან ერთად დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს კომუნისტური მშენებლობის გეგმების განხორციელებაში, სსრ კავშირის იმ მთავარი ეკონომიური ამოცანის გადაწყვეტაში, რომ უმოკლეს ვადებში დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ..."**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის დოკუმენტები, ისევე როგორც მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის პარტიის მიერ წინათ მიღებული გადაწყვეტილებანი, თვალნათლივ გვიჩვენებენ, თუ რა შეუნელებელი ყურადღებით ეკიდება პარტია ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებას, წარმართავს რა მთელ ღონისძიებებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობის მქონე პრობლემების გადასაწყვეტად.

ქართველი ხალხი, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელი, კომუნისტური პარტიის ამ დიდ ღონისძიებებს განიხილავს როგორც მშრომელებისათვის შეუნელებელი ზრუნვის გამოხატულებას, აღფრთოვანებით იწონებს მას და გამოთქვამს მზადყოფნას ყოველივე გააკეთოს მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებისათვის.

განიხილავენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ჩვენი რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში — ყველგან ერთსულოვნად აღნიშნავენ, რომ ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარება, განსაკუთრებით ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოების, პლასტიკური მასებისა და სხვა მასალების წარმოება წარმოადგენს გადაუდებლად საჭირო, ცხოვრებით, საბჭოთა ადამიანების გაზრდილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ამოცანით ნაკარნახევ აუცილებლობას. ამ საერთო-სახალხო საქმეში წვლილის შეტანა, მისი წარმატებით შესრულებისათვის შეუნელებელი შრომა თვითეული საბჭოთა ადამიანის პატრიოტული ვალია.

ჩვენს რესპუბლიკას გააჩნია საკუთარი ქიმიური მრეწველობა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ხუთწლედების განხორციელების შედეგად, საქართველოსათვის სრულიად ახალ მრეწველობის ბევრ დარგთან ერთად შეიქმნა ქიმიური მრეწველობაც. საქართველოს ქიმიური მრეწველობის მსხვილ საწარმოთა შორის არიან რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა, თბილისის პლასტმასების ქარხანა, ქუთაისის ლიტოპონის ქარხანა, თბილისის ქიმკომბინატი. ქიმიურ საწარმოთა რიცხვს მიეკუთვნება ბევრი საწარმო, სადაც ამზადებენ ხელოვნურ ტყავს, სამედიცინო პრეპარატებს, სხვადასხვა ქიმიკატებს სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის.

საქართველო მდიდარია ქიმიკოსთა კადრებით. ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში აღზრდილი ქიმიკოსები წარმატებით მუშაობენ არა მარტო საქართველოს ქიმიურ საწარმოებში, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებში, არამედ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ერთ-ერთი მძლავრია ქიმიის ინსტიტუტი. მრავალი წლის განმავლობაში არსებობს მენდელეევის სრულიად საკავშირო საზოგადოების საქართველოს განყოფილება.

მაგრამ ქიმიური მრეწველობის დონე არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. იგი ჩამორჩება მრეწველობის საერთო განვითარებას, ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის გაზრდილ მოთხოვნილებას ქიმიურ ნაწარმზე, არ შეესაბამება იმ დიდ შესაძლებლობებს, რაც რესპუბლიკაში არსებობს მრეწველობის ამ მეტად მნიშვნელოვანი დარგის განვითარებისათვის.

ქიმიური მრეწველობის აღმავლობისათვის მუშაობაში უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის ბევრი წამყვანი დარგი განიცდის სინთეზური მასალების, პლასტმასების დიდ ნაკლებობას, რომლებიც წარმოადგენენ ლითონის, ხის, ტყავისა და ქსოვილის შესანიშნავ შემცვლელებს. მაგალითად, საქართველოში ქსოვილების გამოშვების გადიდების ამოცანის გადაჭრა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ხელოვნური ბოჭკოების მიღების პრობლემის გადაჭრაზე. საჭიროა მთელი სიცხადით შევიგნოთ, რომ ჩვენი ქიმიური მრეწველობა რაც უფრო მეტი რაოდენობით გამოიმუშავებს ხელოვნურ ბოჭკოს, მით უფრო მრავალფეროვანი იქნება ქსოვილების ასორტიმენტი, მით უფრო მეტი გვექნება იაფი და ლამაზი ქსოვილები. დიდი რაოდენობით არის საჭირო შემცვლელები მანქანათმშენებლობის, განსაკუთრებით ავტომობილმშენებლობის შემდგომი განვითარებისათვის.

ახლა მთავარია, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, ჩვენმა სამეცნიერო-საკვლევმა დაწესებულებებმა და საწარმოებმა ყოველმხრივ და გულდასმით შეისწავლონ რესპუბლიკაში ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების გზები და საშუალებანი. ამ დიდ საქმეში აჩქარება არ გამოგვადგება. ყველაფერი უნდა იყოს ღრმად მოფიქრებული და აწონილ-დაწონილი.

საქართველოს მაღალგანვითარებული სოციალისტური ინდუსტრია აქვს. ჩვენი რესპუბლიკა მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. ჩვენ გვყავს ქიმიკოსი მეცნიერი მუშაკებისა და წარმოების ადამიანების მომზადებული, საქმის მცოდნე კადრები. ყოველივე ეს ქმნის პირობებს ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარებისათვის. მხოლოდ საჭიროა მოფიქრებულად და მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყველა საშუალება, შევისწავლოთ და გამოვავლინოთ ყველა რეზერვი, მუშაობაში გამოვიჩინოთ პატრიოტული შემართება და ბოლშევიკური პრინციპულობა.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციები მოწოდებული არიან ფართოდ გაშალონ მშრომელთა შორის ქიმიური ცოდნის პროპაგანდა, გაავრცელონ სინთეზური მასალების წარმოებისა და სახალხო მეურნეობაში გამოყენების მოწინავე გამოცდილება. ამ მიზნით საჭიროა მოვაწყოთ სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის გამოშვება, ლექციების, მოხსენებების, საუბრების გამართვა, სინთეზური ბოჭკოებისა და პლასტიკური მასების ნაკეთობათა ნიმუშების გამოფენათა მოწყობა.

უმოკლეს დროში შევქმნათ საქართველოში მძლავრი ქიმიური მრეწველობა.





თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. ტრიბუნაზეა ქარხნის უფროსი ამხ. გ. მაცაბერიძე.
ფოტო ვ. გინზბურგისა და მ. კვირიკაშვილისა.

# თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა

ქარხნის უფროსს ამხ. გ. ე. მაცაბერიძეს
ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანს ამხ. დ. გ. აბუთიძეს
პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. გ. ვ. დაშნელს
კომკავშირის საქარხნო კომიტეტის მდივანს ამხ. ე. ტ. სახვაძეს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა სახელოვან კოლექტივს ქარხნის დაარსების 75 წლისთავს.

თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა საქართველოს სსრ უძველესი საწარმოა, რომელსაც საბრძოლო რევოლუციური ტრადიციები აქვს. თავისი არსებობის მანძილზე ქარხანამ დიდი როლი შეასრულა რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცებისა და რკინიგზელთა კვალიფიციური კადრების აღზრდის საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო რწმენას გამოთქვამენ, რომ თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები კვლავაც გაამრავლებენ თავიანთ შრომით წარმატებებს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

| | |
|---|---|
| საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო |

# თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივს

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან და ულოცავენ ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივს ქარხნის დაარსების 75 წლისთავს.

წმიდად იცავს და განაგრძობს რა საბრძოლო რევოლუციურ ტრადიციებს, ქარხნის სახელოვანი კოლექტივი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდანვე ჩადგა იმ ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ დასახა.

ეჭვი არ არის, რომ ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები კვლავაც გვიჩვენებენ შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების შესანიშნავ ნიმუშებს, შეიტანენ ღირსეულ წვლილს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის განხორციელებაში.

| | |
|---|---|
| საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |

# სახელოვანი იუბილარი

გუშინ, 17 მაისს, ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში გაიმართა საზეიმო საღამო, მიძღვნილი თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის 75 წლისთავისადმი.

საღამოზე შეიკრიბნენ იუბილარი ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მოსამსახურეები, თბილისის სამრეწველო საწარმოთა წარმომადგენლები, პარტიული, საბჭოთა მუშაკები, რკინიგზის ტრანსპორტის ვეტერანები, მოსკოვიდან, ორჯონიკიძიდან, დნეპროპეტროვსკიდან, როსტოვიდან და ჩვენი სამშობლოს სხვა ქალაქებიდან ჩამოსული სტუმრები.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ვ. მჟავანაძე, მ. ჩუბინიძე, გ. ქადაგიძე, ი. დოლიძე, ფ. დუმბაძე, მ. ლელაშვილი, გ. გეგეშიძე, დ. მამაცაშვილი.

ქარხნის სახელოვან საბრძოლო და შრომითი ტრადიციების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ქარხნის უფროსი ამხ. გ. მაცაბერიძე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. მჟავანაძე აცხადებს თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმების ტექსტს. დარბაზში ტაში გრიალებს.

საღამოზე გულთბილი მისალმების სიტყვებით გამოვიდნენ პარტიის ლენინის რაიკომის მდივანი კ. გოგლიძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ს. კაკაბაძე, მე-4 საშუალო სკოლის მოსწავლე ლ. ჭყონია, საშეფო კოლმეურნეობის — გორის რაიონის სოფელ ბერშუეთის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. გოთიაშვილი, პროფესორი ფ. თავაძე.

თბილისელ ორთქლმავალვაგონშემკეთებლებს თავიანთი კოლექტივების სახელით გულთბილად მიესალმნენ სტუმრები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ზ. გელდიაშვილი აცხადებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საპატიო სიგელებით დააჯილდოვა აგრეთვე ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა ჯგუფი.

საზეიმო საღამოს მონაწილენი ერთსულოვნად მქუხარე ტაშით იღებენ მისალმებას სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

# თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის დაარსების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრების მონაწილეებისაგან

| | |
|---|---|
| საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს |

ჩვენ, თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის დაარსების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრების მონაწილენი, მხურვალე მადლობას გიძღვნით ჩვენი ქარხნის კოლექტივის საქმიანობის მაღალი შეფასებისათვის.

ჩვენ აღვუთქვამთ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს და საბჭოთა მთავრობას, რომ კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღებთ სოციალისტურ შეჯიბრებას სახელმწიფო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, დაუცხრომლად გავადიდებთ შრომის ნაყოფიერებას, უფრო ფართოდ დავნერგავთ ტექნიკური პროგრესის მიღწევებს.

ქარხნის კოლექტივი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დაუცხრომლად იბრძოლებს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის განხორციელებისათვის, გაამრავლებს თავის შრომით წარმატებებს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

დიდება ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოს!

# ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის დაარსების 75 წლისთავთან დაკავშირებით, იღებს რა მხედველობაში მის რევოლუციურ წარსულს და რკინიგზის ტრანსპორტის განვითარების საქმეში დამსახურებას, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს: თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა დაჯილდოებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1958 წ. 17 მაისი.

# ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშების, მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის დაარსების 75 წლისთავთან დაკავშირებით და ხანგრძლივი, უმწიკვლო მუშაობისათვის დაჯილდოებულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **აბრამიძე** გიორგი იოსების-ძე — სატრანსპორტო საამქროს მტვირთავი ბრიგადირი,
2. **აბუთიძე** დავით გიორგის-ძე — ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი,
3. **ალთუნაშვილი** სურენ ნიკოლოზის-ძე — საქვაბე საამქროს ზეინკალი,
4. **ანდრიანოვი** გრიგოლ დავითის-ძე — სამჭედლო საამქროს მეღუმელე,
5. **ანთაძე** გიორგი მოსეს-ძე — საამწყობო საამქროს ყოფილი ამწყობი, ამჟამად პენსიონერი,
6. **ბაბაევი** იაკობ დიმიტრის-ძე — საქვაბე საამქროს მექვაბე,
7. **ბაბაევი** სერგი სიმონის-ძე — საამწყობო საამქროს ოსტატი,
8. **ბაქრაძე** გიორგი ილიას-ძე — ქარხნის უფროსის მოადგილე კომერციულ ნაწილში,
9. **ბერიაშვილი** ვასილ ესტატეს-ძე — ორთქლმავალთა სამწყობო საამქროს ყოფილი ხარატი, ამჟამად პენსიონერი,
10. **ბოლქვაძე** ილია ასალოს-ძე — მრავალტირაჟიანი გაზეთის „ჩვენი საყვირის" რედაქტორი,
11. **ბურჭულაძე** ვალერიან ნიკოლოზის-ძე — შემკეთებელ-დამკომპლექტებელი საამქროს ზეინკალი,
12. **გოგიძე** ლევან ილიას-ძე — ქარხნის მთავარი მექანიკოსი,
13. **გოლოვინი** ნიკოლოზ ვასილის-ძე — ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე,
14. **გონჩაროვი** კონსტანტინე გრიგოლის-ძე — ქარხნის მთავარი ენერგეტიკოსი,
15. **დათაძე** გიორგი ივანეს-ძე — ქარხნის მთავარი ბუღალტერი,
16. **დალკოვსკი** სტეფანე ეგნატეს-ძე — სამგზავრო ვაგონების საამქროს მექვაბე,
17. **დაშნელი (დაშნიევი)** გიორგი ვასილის-ძე — პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე,
18. **დიდიკი** ნაზარ თევდორეს-ძე — საამწყობო საამქროს მექვაბე,
19. **ეგორაშვილი** მიხეილ ათანასეს-ძე — სამსხმელო საამქროს უფროსის მოადგილე,
20. **ელოშვილი** გრიგოლ გრიგოლის-ძე — სამჭედლო საამქროს ყოფილი მჭედელი, ამჟამად პენსიონერი,
21. **ერშოვი** მიხეილ ივანეს-ძე — სამჭედლო საამქროს უფროსი,
22. **ვოლსკი** ივანე სილიბისტროს-ძე — ტექნიკური კონტროლის განყოფილების ყოფილი კონტროლიორი, ამჟამად პენსიონერი,
23. **ზაალიშვილი** გიორგი ზაქარიას-ძე — საქვაბე საამქროს კომპლექსური ბრიგადის უფროსი,
24. **ზაკს** ლია იოსების ასული — რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის დარგის ინჟინერი,
25. **იმერლიშვილი** ვასილ დავითის-ძე — სამსხმელო საამქროს უფროსი,
26. **იშხანაშვილი** ვასილ სოლომონის-ძე — საამწყობო საამქროს ოსტატი,
27. **კაპანაძე** აკაკი ვლადიმერის-ძე — შემკეთებელ-დამკომპლექტებელი საამქროს ბრიგადირი-ზეინკალი,
28. **კოჩიევი** ვიქტორ ზურაბის-ძე — საქვაბე საამქროს ქვაბის მწმენდავი,
29. **კუპრავა** დავით მეთოდეს-ძე — ქარხნის კადრების განყოფილების უფროსი,
30. **ლოლაძე** ნიკოლოზ ზაქარიას-ძე — კადრების განყოფილების უფროსი ინჟინერი,
31. **მამაცევი** ნიკოლოზ იაგორის-ძე — ენერგოძალოვანი დანადგარების საამქროს ზეინკალი,
32. **მარგველაშვილი** ალექსანდრე ნესტორის-ძე — შემკეთებელ-დამკომპლექტებელი საამქროს ხარატი,
33. **მარგიშვილი** ლევან დიმიტრის-ძე — საამწყობო საამქროს მექვაბე,
34. **მარიკიანი** მიხეილ ივანეს-ძე — საიარაღო ცენტრალური საწყობის უფროსი,
35. **მატინიანი** ჰაიკ სოლომონის-ძე — ქარხნის უფროსის ყოფილი მოადგილე სავაგონო ნაწილში, ამჟამად პენსიონერი,
36. **მაცაბერიძე** გაბრიელ ევგენის-ძე — ქარხნის უფროსი,
37. **მელაძე** ივანე სერაფიონის-ძე — სამსხმელო საამქროს მეყალიბე,
38. **მელიქ-ფაშაევი** სურენ ქრისტეფორეს-ძე — ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი,
39. **მონასელიძე** მიხეილ ალექსის-ძე — მექანიკური საამქროს ყოფილი ხარატი, ამჟამად კომენდატურის გუშაგი,
40. **მორჩილაძე** გიორგი პავლეს-ძე — სატენდერო საამქროს ზეინკალი,
41. **ნარიმანაშვილი** გიორგი დავითის-ძე — სამსხმელო საამქროს ოსტატი,
42. **ჟიგალკინი** ვლადიმერ თევდორეს-ძე — სამსხმელო საამქროს მუშა,
43. **რაზმაძე** სევერიან ფილიპეს-ძე — სამსხმელო საამქროს ყოფილი მეყალიბე, ამჟამად პენსიონერი,
44. **რიდკოლის** სტეფანე მიხეილის-ძე — მექანიკურ-საიარაღო საამქროს ხარატი,
45. **როსტიაშვილი** ალექსანდრე ზაქარიას-ძე — სამონტაჟო საამქროს ზეინკალი,
46. **რუხაძე** გრიგოლ თომას-ძე — ელექტროშემდუღებელი საამქროს ელექტროშემდუღებელი,
47. **სანდაროვი** მიხეილ ანტონის-ძე — სადურგლო საამქროს დურგალი,
48. **საპონჯიანი** გიორგი მიკირტუმის-ძე — სამგზავრო ვაგონების საამქროს ხურო,
49. **სახვაძე** ელგუჯა ტრიფონის-ძე — ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი,
50. **სიხარულიძე** ვიქტორ ალექსანდრეს-ძე — ქარხნის პოლიკლინიკის ყოფილი უფროსი, ამჟამად რკინიგზის საავადმყოფოს დირექტორი,
51. **სოხაძე** აბიბო ბიჭიას-ძე — საქვაბე საამქროს მექვაბე,
52. **ტეგეტაშვილი** ზაქარია ალექსის-ძე — ენერგოძალოვანი დანადგარების საამქროს ყოფილი ოსტატი, ამჟამად პენსიონერი,
53. **ტიმოფეევი** კონსტანტინე ექვთიმეს-ძე — მექანიკურ-საიარაღო საამქროს ხარატი,
54. **ფეიქრიშვილი** დიმიტრი ივანეს-ძე — სამგზავრო ვაგონების საამქროს მექვაბე,
55. **ჩლაიძე** ბორის ნიკოლოზის-ძე — ქარხნის უფროსის მოადგილე სავაგონო ნაწილში,
56. **წიკლაური** ერასტი ხვთისოს-ძე — სამშენებლო საამქროს მებეტონე,
57. **ჭიჭინაძე** დავით ალექსის-ძე — ქარხნის ყოფილი უფროსი,
58. **ჭუმბურიძე** ილია დავითის-ძე — ქარხნის ყოფილი ხარატი, ამჟამად მანქანათმშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1958 წ. 17 მაისი.

# სრულიად საკავშირო თათბირი საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საკითხებზე

16 მაისს კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა საბოლოო სხდომა მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირისა საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განვითარებისა და ავტომატიზაციის ხელსაწყოთა და საშუალებათა გამოშვების გადიდების საკითხებზე.

თათბირის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ ამხანაგებს კ. ე. ვოროშილოვს, ნ. გ. იგნატოვს, ფ. რ. კოზლოვს, ა. ი. მიქოიანს, ნ. ა. მუხიტდინოვს, მ. ა. სუსლოვს, ე. ა. ფურცევას, ნ. ს. ხრუშჩოვს, ნ. პოსპელოვს, რომელნიც პრეზიდიუმში შემოვიდნენ.

მთელი დარბაზის ტაშის გრიალში თავმჯდომარემ ფ. რ. კოზლოვმა თათბირის მონაწილეთა სახელით გულითადად მიულოცა მეცნიერებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მუშებს, რომლებმაც შექმნეს და კოსმოსში გაუშვეს დედამიწის მესამე საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ი. ი. კუზმინის მოხსენებით გამო გაიმართა კამათი, რომელშიც გამოვიდა კომბინატ „ლუგანსკუგოლის" მთავარი მექანიკოსი ს. რ. მორავსკი. მან ილაპარაკა დიდ შრომით აღმავლობაზე მეშახტეთა შორის. 1957 წელს კომბინატმა გეგმა შეასრულა 103,5 პროცენტით, ხოლო მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დავალება — 104 პროცენტით. მეშახტეთა წარმატებას ხელი შეუწყო მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვამ მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს უბნებზე. აქ ავტომატიკის საშუალებით მართავენ ვენტილატორებს, ტუმბოებს, ელექტროქვესადგურებს. ზედაპირზე ამოაქვთ ქვანახშირი და ქანი. ავტომატიკის მეოხებით მოისპო მზიდავის პროფესია და გაჩნდა ოპერატორის სპეციალობა. კომბინატს ლუგანსკის სახალხო მეურნეობის საბჭოსთან ერთად დასახული აქვს უახლოეს წლებში მთლიანად გადაიყვანოს დისტანციურ მართვაზე ყველა სტაციონარული მექანიზმი, რომლებიც ზედაპირზე მუშაობენ, და ამით მიაღწიონ შრომის დანახარჯის მკვეთრად შემცირებას ტონა ქვანახშირზე. მაგრამ ამისათვის საჭირო იქნება მეცნიერთა დიდი დახმარება. საჭიროა, რომ ისეთი ინსტიტუტები, როგორიც არის „უგლეავტომატიკა", „უგლეგიპროშახტი", „იუჟგიპროშახტი" და სხვები ახლოს იყონ წარმოებასთან, უფრო აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ შახტების გადაყვანაში ქვანახშირის ამოღების უფრო სრულყოფილ მეთოდებზე.

შემდეგ სიტყვა მიეცა საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსის მოადგილეს ი. ი. ბაზილევსკის, რომელმაც თავისი სიტყვა მიუძღვნა ელექტრონული მათემატიკური მანქანების წარმოებისა და გამოყენების საკითხებს. ამ უკანასკნელ წლებში, თქვა მან, საპროექტო-საკვლევმა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს რამდენიმე ტიპის განუწყვეტლივ მოქმედი ელექტრონული გამოსათვლელი მანქანები, უკვე შეძენილია მათი გამოყენების მნიშვნელოვანი გამოცდილება. სამწუხაროდ, ერთ-ერთი ნაკლი ის არის, რომ თვითეული ორგანიზაცია, რომელიც იკვლევს და ქმნის გამოსათვლელ მანქანებს, თვითონ ქმნის და შინამრეწველურად აკეთებს მათთვის მაგნიტურ და ნახევრადგამტარ ელემენტებს. ამის შედეგად იზრდება მატერიალური დანახარჯები, გრძელდება მანქანების შემუშავებისა და სერიული წარმოების ათვისების ვადა. უნდა გადაიჭრას ტიპური რადიოტექნიკური დეტალების მასობრივი გამოშვების საკითხი.

ამხ. ბაზილევსკი ამბობს, რომ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დასახული აქვს უახლოეს წლებში გამოუშვას რამდენიმე ათასი ელექტრონული გამომთვლელი მანქანა. ამით შესაძლებელი გახდება უამრავი სამეცნიერო-ტექნიკური გაანგარიშების ავტომატიზაცია და ტექნიკის მრავალი ნიმუშის შექმნის მკვეთრი დაჩქარება. შეიქმნება რეალური შესაძლებლობა, რომ მოწინავე გამოსათვლელი ტექნიკით უზრუნველყოფილ იქნას ჩვენი ქვეყნის ყველა ეკონომიური რაიონი და ამ ბაზაზე ძირითადად ავტომატიზებულ იქნას საწარმოთა სააღრიცხვო-სტატისტიკური გაანგარიშებანი და ეკონომიური საქმიანობის ანალიზი.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ მოხსენების გამო კამათში გამოვიდა 33 კაცი. სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება შეწყდეს კამათი.

თათბირმა ამით დაამთავრა მუშაობა.
(საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქიმიური მრეწველობის სწრაფი და მძლ[illegible]

★ ★ ★

## ეს აშენდება და გაკეთდება საქართველოში

### ფართო პერსპექტივები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის მიერ მიღებულმა დადგენილებამ მოსახლეობის მოთხოვნილებათა და სახალხო მეურნეობის საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის ქიმიური მრეწველობის განვითარების დაჩქარების შესახებ ფართო გზა გახსნა და შესანიშნავი პერსპექტივები დასახა ჩვენს რესპუბლიკაში ქიმიური მრეწველობის აღმავლობისათვის.

მიუხედავად ნედლეული რესურსების სიუხვისა და დიდი შესაძლებლობებისა, ქიმიური მრეწველობის განვითარების მხრივ საქართველო ჯერ ისევ ჩამორჩენილია. ჩვენ ჯერ კიდევ სრულად ვერ ვიყენებთ არათუ ბუნებრივ რესურსებს, არამედ იმ ნახევარპროდუქტებსაც, რომლებსაც გვაძლევენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოქს-ქიმიური საამქრო და ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, რათა ამ ნახევარპროდუქტებიდან მივიღოთ მზა სინთეზური პროდუქტები.

რესპუბლიკაში მოგვეპოვება ბარიტ-მრავალლითონიანი (პოლიმეტალური) და სპილენძის მადნების საბადოები, მაგრამ მათი მოპოვება არ წარმოებს, ამ მადნების სამრეწველო გადამუშავების საქმე ჯერ ისევ მოსაგვარებელია. მადნეულის (ადგილმდებარეობის სახელწოდებაა) საბადოთა მრავალლითონიანი მადნებიდან კი შესაძლებელია მივიღოთ გოგირდი, რომელიც ძვირფასი ქიმიური პროდუქტის — გოგირდმჟავას წარმოების ძირითადი ნედლეულია.

საქართველოში დიდიხანია ცნობილია ბუნებრივი ნატრიუმის სულფატის ორი დიდი საბადო — ტბაგრძელისა და სახარეტბისა. მდიდარია ჩვენი რესპუბლიკა ბარიტის საბადოებითაც და მათს ბაზაზე, ცხადია, სავსებით შესაძლებელია ბარიუმისმიერი პრეპარატების წარმოების გაჩაღება. უკვე დადგენილი და ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად მარტო ნახშირმჟავა ბარიუმი გვჭირდება 14.000 ტონის რაოდენობით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის მიერ მიღებული და მოწონებული დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სამმართველომ დასახა ღონისძიებანი რესპუბლიკაში ქიმიური მრეწველობის შემდგომი სწრაფი განვითარებისათვის.

### სამი პრინციპი

ამ ღონისძიებებს — რესპუბლიკაში ქიმიური მრეწველობის განვითარების 1959-1965 წლების გეგმას საფუძვლად უდევს გამოცდილებით შემოწმებული და პრაქტიკით გამართლებული სამი პრინციპი:

პირველი: ადგილობრივი ნედლეულისა და საწვავის რესურსების კომპლექსური გამოყენება, ქიმიის, სამთამადნო, მეტალურგიული და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის კომბინირება სოფლის მეურნეობასთან, აგრეთვე სატყეო მეურნეობასთან, თანმხლები პროდუქტებისა და ნარჩენების მაქსიმალურად გამოყენების უზრუნველყოფა.

მეორე — ქარხნების სპეციალიზაცია და კოოპერირება.

მესამე — რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საჭიროებათა დაკმაყოფილება ადგილობრივ გამომუშავებული ქიმიკატებით, სათანადო ნომენკლატურის პროდუქციით.

### რუსთავი — ქიმიური მრეწველობის ცენტრი

საქართველოს ინდუსტრიული სიამაყე — მეტალურგიული რუსთავი რამდენიმე წლის შემდეგ რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის ცენტრი გახდება. აი რა უნდა აშენდეს რუსთავში უახლოესი 7 წლის განმავლობაში:

მომავალ წელს აზოტოვანი სასუქების ქარხანასთან გათვალისწინებულია ე. წ. კაპროლაქტამის საწარმოს მშენებლობის დაწყება.

იქვე მოეწყობა (აკადემიკოს რ. აგლაძის მეთოდით) კალიუმის პერმანგანატის წარმოება და ელემენტური მრეწველობისათვის (მუდმივი დენის რადიომიმღებების, მოძრავი რადიოსადგურების, პორტატული რადიომიმღებების, ჯიბის ელექტროსანათურების და ა. შ.) მეტად ძვირფასი საკვები პროდუქტის — ორჟანგა მანგანუმის საწარმო, რომელიც ყოველწლიურად მოგვცემს ათასობით ტონა პროდუქციას. გათვალისწინებულია აგრეთვე კაპროლაქტამის წარმოებისათვის საჭირო ნატრიუმის ნიტრატის, ორგონის (გაზის ნაირსახეობაა), მთელი რიგი სხვა ქიმიური პროდუქტების საწარმოების გამართვა.

აუცილებლად უნდა მოეწყოს რესპუბლიკაში გოგირდმჟავას წარმოება.



ამას ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. გოგირდმჟავას წარმოება რესპუბლიკაში არ არის. ეს გარემოება დიდად ამუხრუჭებს ჩვენში ქიმიური მრეწველობის განვითარებას, აფერხებს მთელი სახალხო მეურნეობის წინსვლას. გოგირდმჟავა საჭიროა სახალხო მეურნეობის მრავალი დარგისათვის. თუ გოგირდმჟავა არ გვექნა, არ გვექნება სასუქები სოფლის მეურნეობისათვის, ნედლეული შხამქიმიკატების წარმოებისათვის. გოგირდმჟავა საჭიროა საფეიქრო, ნავთობგადამამუშავებელ, მეტალურგიულ, ტყავგამომყვან და ქაღალდ-ცელულოზის მრეწველობისათვის. დიდი რაოდენობით იქნება საჭირო გოგირდმჟავა კაპროლაქტამის საწარმოსთვისაც. სრულიად მიზანშეუწონელი, სახალხო მეურნეობისათვის საზარალო იქნება, რომ გოგირდმჟავა მთელი საჭირო რაოდენობით რესპუბლიკაში სხვა ადგილებიდან შემოვზიდოთ. გარდა იმისა, რომ ეს შემოზიდვა დაკავშირებულია მრავალ უხერხულობასა და სირთულესთან, იგი ბევრად ძვირიც დაგვიჯდება.

რუსთავი უახლოეს წლებში გამდიდრდება ე. წ. სინთეზური შარდოვანას საწარმოთი. შარდოვანა სახალხო მეურნეობისათვის მეტად ძვირფასი სინთეზური პროდუქტია. იგი შეიცავს 45 პროცენტ შეკრულ აზოტს, ხასიათდება უმაღლესი აგროქიმიური თვისებებით და მისი, როგორც სასუქის, გამოყენებით შესაძლებელი ხდება ციტრუსოვანთა ნაყოფის დამწიფების დაჩქარება, მოსავლიანობის საგრძნობლად ამაღლება. ეს საწარმოც რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანასთან მოეწყობა.

საქართველოს სოფლის მეურნეობას, გარდა აზოტოვანი სასუქებისა, სჭირდება ფოსფორული სასუქებიც. ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გათვალისწინებულია: რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში მოეწყოს ხიბინის აპატიტების გადამუშავება, მოწესრიგდეს აზოტ-ფოსფორის კომბინირებული სასუქების გამოშვება რესპუბლიკის ინტენსიური სოფლის მეურნეობისათვის.

### ბარიტის საბადოთა ბაზაზე

საქართველოში ბარიტის მრავალი საბადოა ცნობილი და ბარიტის მოპოვებაც საგრძნობი მასშტაბით წარმოებს, მაგრამ ამ წიაღისეულის გადამამუშავებელი მრეწველობა ჩვენში ჯერჯერობით წარმოდგენილია მხოლოდ ერთი, ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის სახით.

ახალი გეგმით გათვალისწინებულია კუდაროს, ჩორდის, ფიცკვარის (აფხაზეთშია) და მთელ რიგ სხვა საბადოებში ბარიტის მოპოვების გაფართოების ბაზაზე გადიდდეს ლიტოპონის გამოშვება. ქუთაისის ლიტოპონის ქარხანაში გათვალისწინებულია აგრეთვე საშაბიამნე საამქროს იმდენად გაფართოება, რომ შესაძლებელი იქნას შაბიამნის გამოშვების ერთიორად გადიდება, რესპუბლიკის მევენახეობის მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილება.

ქუთაისის ლიტოპონის ქარხანაში განზრახულია მოეწყოს ამასთან ბარიტის საფქვავი საამქრო. დაფქულ ბარიტს ხმარობენ ლაქსაღებავების მრეწველობაში სპეციალურ შემავსებლად.

საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა ჯგუფმა შეასრულა საინტერესო სამუშაო კაუსტიკური სოდისა და ე. წ. ბლანფიქსის ერთდროულად მიღებისათვის. ამჟამად აყენებენ ცდებს ამ ორი ძვირფასი პროდუქტის — კაუსტიკური სოდისა და ბლანფიქსის სამრეწველო წესით და ერთდროულად მიღების მეთოდის დასადგენად. საცდელ მუშაობას ხელმძღვანელობს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. კაკაბაძე და არის მონაცემები ვიფიქროთ, რომ ეს ცდები დადებითს შედეგებს მოგვცემენ. კაუსტიკური სოდის მიღება ამ ახალი მეთოდით ბევრად უფრო ხელსაყრელი იქნება, ვიდრე ელექტროლიზის წესით, ვინაიდან ელექტროენერგიის გასავალი ახალი მეთოდით მუშაობისას უმნიშვნელო მოცულობამდეა დაყვანილი.

ქუთაისის ლიტოპონის ქარხანასთან გათვალისწინებულია არსებული საღებავების საამქროს გაფართოება და მისი სიმძლავრის გადიდება მრავალი ათასი ტონა პროდუქციით.

### ფეროშენადნობთა ქარხნის კვამლიდან

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა უკვე დიდი ხანია მუშაობს და ასევე დიდი ხანია, რაც ძვირფასი კვამლი, რომელიც ამ ქარხნის ღუმელებიდან ამოდის, უნაყოფოდ იკარგება. ამიერიდან ის კვამლი აღარ უნდა დაიკარგოს.



სწავლული მეტალურგებისა და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის სპეციალისტების მიერ გაწეულმა სამეცნიერო-კვლევითმა მუშაობამ გვიჩვენა, რომ ფეროშენადნობთა ქარხნის ღუმელებიდან ამოსული კვამლი შეიცავს ოქროსფას პროდუქტებს: კვამლს, რასაკვირველია, გაზები მიჰყვება. უკვე დადგენილია, რომ თუ ქარხნის ელექტროღუმელებზე მოვაწყობთ ნახშირბადის სიმჟავის დამჭერ მოწყობილობას, ამ ნახშირბადიდან შეიძლება მივიღოთ წლის განმავლობაში ათობით ათას ტონამდე მეთანოლი — ძირითადი ნედლეული პლასტიკური მასების და სხვა სინთეზური პროდუქტების — აცეტონის, სინთეზური წებოს გამოსაშვებად.

### ემულსიური ლაქსაღებავების ქარხანა და სხვა საწარმოები

სამრეწველო და საბინაო მშენებლობის უმაგალითო მასშტაბებით გაჩაღებამ ჩვენს რესპუბლიკაში დღის წესრიგში დააყენა არა მარტო საკედლე საშენი მასალების და სხვა სამშენებლო დეტალების ინდუსტრიული ბაზების გაძლიერების ამოცანა, არამედ ამასთან ლაქსაღებავების წარმოების გაფართოების საკითხიც.

საღებავების წარმოებაში ჯერ ისევ დიდი რაოდენობით ვიყენებთ მცენარეულ საჭმელ ზეთებს, მაგრამ ამ ზეთების ფართოდ გამოყენება ზეთის საღებავების წარმოებისათვის სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით არ არის ხელსაყრელი. ამიტომ გათვალისწინებულია უარი ვთქვათ ლაქ-საღებავების მრეწველობაში მცენარეული ზეთების გამოყენებაზე, რაც საშუალებას მოგვცემს გავაფართოოთ კვების მრეწველობა და სამაგიეროდ გადავიდეთ სინთეზური ლატექსების, ხელოვნური ფისების გამოყენებაზე.

საქართველოში ქიმიური მრეწველობის განვითარების შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია აგრეთვე ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობის გაფართოება, თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანასთან ახალი სამკურნალო პრეპარატების გამომშვები საამქროების გახსნა, აგრეთვე ბათუმის კოფეინის ქარხნის გაფართოება, მისი სიმძლავრის შესამჩნევად გადიდება.

* * *

საქართველოს ქიმიური მრეწველობის ასეთი დაჩქარებული განვითარების ამოცანა დღის წესრიგში აყენებს მთელ რიგ ახალ, დაუყოვნებლივ მოსაგვარებელ საკითხებს. უწინარეს ყოვლისა საჭიროა მოვახდინოთ არსებული სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის რეორგანიზაცია ახალი ამოცანების შესაბამისად და ამასთან შევქმნათ ახალი სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები, შევიმუშაოთ ღონისძიებები და ამთავითვე შევუდგეთ მათს განხორციელებას საშუალო და უმაღლესი ტექნიკური განათლების სპეციალისტების მოსამზადებლად. საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ვიზრუნოთ ორგანული სინთეზის სპეციალისტების მომზადებისათვის.

ამჟამად რესპუბლიკაში უკვე იგრძნობა ქიმიური მანქანათმშენებლობის ქარხნის უქონლობა. საჭიროა ეს საკითხიც დადებითად გადაიჭრას, რესპუბლიკაში მოწყობილ იქნას ქიმიური მანქანათმშენებლობის საწარმო, რომელიც მოემსახურება ქიმიურ მრეწველობას.

მომწიფებულია საკითხი აგრეთვე აზოტის მრეწველობისა და ორგანული სინთეზის საპროექტო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მოწყობისა. უამისოდ გართულდება ახალი ქიმიური საწარმოების დაპროექტების საქმე, გაძნელდება ღონისძიებათა კოორდინაცია ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების საქმესთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს მშრომელები, რომლებიც ისევე, როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, აღაფრთოვანა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის ისტორიულმა დადგენილებამ, უზრუნველყოფენ ქიმიური მრეწველობის სწრაფ აღმავლობას და ამით ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

**ნ. ავალიანი,**
საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სამმართველოს უფროსის მოადგილე.



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტი. ს უ რ ა თ ზ ე: პროფესორი პ. გოგორიშვილი (მარჯვნივ), ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი მ. ყარყარაშვილი (ცენტრში) და მეცნიერი მუშაკი ლ. ციციშვილი არაორგანული ქიმიის ლაბორატორიაში მუშაობის დროს.

## წინსვლის საწინდარი

ათასეულ წლებში დაგროვილი აღმოჩენებისა და გამოცდილების განზოგადებით ადამიანმა შექმნა სხვადასხვა მეცნიერება, მათ შორის ქიმია. თანამედროვე ქიმია შესაძლებლობას გვაძლევს დავამზადოთ ახალი სინთეზური მასალები, ხელოვნური ბოჭკო, მრავალი სახის ხელოვნური ქსოვილი და ტყავი, ლითონის შემცვლელი პლასტმასები, კაუჩუკი, სასუქები, წამლები, საღებავები, სამშენებლო და ფართო მოხმარების საგნების საწარმოებლად საჭირო მასალები.

ქიმია ღრმად შეიჭრა თანამედროვე ცხოვრებაში. მნიშვნელოვანია მისი როლი ადამიანის კვების, ჩაცმის, ჯანმრთელობის დაცვის, ცხოვრების გალამაზებისა და კეთილმოწყობის საქმეში. სწორედ ამიტომ კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც ახორციელებს ჩვენს ქვეყანაში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდისა და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების დიად პროგრამას, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარების საქმეს.

ეცნობი ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის მასალებს, ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას და სიამაყის გრძნობით გევსება გული, რომ მოქალაქე ხარ იმ მძლავრი ქვეყნისა, რომელსაც შეუძლია შვიდწლიან ვადაში დასახოს 257 დიდი ქიმიური საწარმოს მშენებლობა და გაიღოს ამისათვის 100 მილიარდი მანეთი.

ბევრი საგულისხმო შენიშვნაა ამ მასალებში. მოცემულია მითითებანი ქიმიის დარგში კვლევის შემდგომი გაშლის, საქარხნო ლაბორატორიების გაფართოების, დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრისათვის ცალკეული კოლექტივების დაჯილდოების; ტიპური პროექტების ფართოდ გამოყენების, მოწყობილობის უნიფიკაციისა და წარმოების ავტომატიზაციის შესახებ. აღნიშნულია, რომ მეცნიერებაში დაუშვებელია წარმოებისაგან მოწყვეტა, ახალი გზების ძიებისათვის გვერდის ავლა. განსაკუთრებით გამახვილებულია ის საკითხი, რომ ახალ მშენებლობათა ადგილმდებარეობის შერჩევისას წარმოება მიახლოებული იყოს ნედლეულის ბაზასთან, ხორციელდებოდეს ზუსტი ტექნიკურ-ეკონომიური ანალიზი და სხვ.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელება ხელს შეუწყობს ქიმიური მრეწველობის მზარდ აღმავლობას საქართველოშიც, რომელიც ესოდენ მდიდარია ქიმიური მრეწველობისათვის საჭირო ბუნებრივი ნედლეულით. აზოტოვანი სასუქების ქარხანასთან აშენდება კაპროლ-აქტამის — განსაკუთრებული გამძლეობის სინთეზური მასალის ახალი მძლავრი საამქრო. რესპუბლიკას ექნება მაღალხარისხოვანი ხელოვნური ქსოვილის დამამზადებელი ქარხანა. მნიშვნელოვნად გაფართოვდება ჩვენში მანგანუმის ნაერთთა, მინერალური სასუქების, პლასტმასების, ფარმაცევტული პრეპარატებისა და საღებავების წარმოება. ახალი დადგენილება საშუალებას გვაძლევს დავაყენოთ მანგანუმის, ქვანახშირის, ბარიტის და დარიშხანის მოპოვებასა და გამდიდრებასთან დაკავშირებული ძვირფასი ნარჩენების, აგრეთვე კოქსქიმიური, ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების, ჩვენი მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობისა და ქაღალდის მრეწველობის ნარჩენების რაციონალურად გამოყენების საკითხი.

პლენუმის მასალების განხილვამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის კოლექტივში, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის ობიექტებთან. ეჭვი არ არის, რომ ქართველი ქიმიკოსები და ჩვენი ქიმიური მრეწველობის მუშაკები ყოველმხრივ გამოიყენებენ მათი შემდგომი შემოქმედებითი მუშაობისათვის ახლად გადაშლილ დიდ პერსპექტივებს.

**რ. აგლაძე,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

## მოკლე ცნობები

⊙ მანქანათმშენებლობაში პლასტმასას ლითონის მაგიერ იყენებენ. ერთ ტონა პლასტმასას შეუძლია 3 ტონა ლითონის მაგივრობა გასწიოს.

⊙ სამშენებლო საქმეში დიდი უპირატესობა აქვს პლასტიკურ მასალებს. ფერებიანი პლასტმასისაგან გაკეთებული კარები და ტიხრები მეტად ალამაზებენ ბინას. მინაპლასტიკებისაგან გაკეთებული სახურავები ძალიან მსუბუქია და დიდხანს არ ფუჭდება. გამძლე და ლამაზია პოლისტიროლისა და ფენოლიტისაგან გაკეთებული მოსაპირკეთებელი ფილები.

⊙ ავტომობილმშენებლობაში პლასტმასების გამოყენება შესაძლებლობას იძლევა მნიშვნელოვნად შემცირდეს ავტომობილის წონა, გადიდდეს ტვირთზიდვა, შემცირდეს საწვავის, საცხებისა და რეზინის ხარჯვა.

საბჭოთა კავშირში დამზადებულია ავტომობილი, რომლის ძარა მთლიანად პლასტმასისაგან არის გაკეთებული.

⊙ ძველ მეთევზეს მხოლოდ ოცნება შეეძლო ისეთ ბადეზე, რომელიც თვალისათვის უჩინარი ძაფისაგან არის მოქსოვილი. დღეს უკვე არსებობს უწვრილესი პოლიამიდური ძაფი ტექნიკური ქსოვილებისათვის, რომელიც დამზადებულია კაპრონისა, ანიდისა და ენანტისაგან. ეს თვალისათვის თითქმის შეუმჩნეველი ძაფი 16 კგ. ტვირთს უძლებს. დღემდე შეუმჩნეველი იყო ყველა ის სიკეთე, რაც ხელოვნურ და სინთეზურ ბოჭკოებს მოაქვთ. მშობლიურმა პარტიამ თვალნათლივ დაგვანახვა ეს და დარაზმა მთელი ქიმიური მეცნიერება, მთელი საბჭოთა ხალხი ამ უაღრესად კეთილშობილური და სასიცოცხლოდ საჭირო ამოცანების გადასაჭრელად.

⊙ აგერ, მაგალითად, მამაკაცის კოსტიუმი. უმზერთ და დარწმუნებული ხართ, რომ ის ყველაზე ძვირფასი, ამორჩეული შალისაგან არის შეკერილი. და მხოლოდ ჩვეულებრივი სავაჭრო ეთიკეტი გვაუწყებს, რომ შალისათვის 30 პროცენტი ნიტრონი დაუმატებიათ. ნავთობისა და ბუნებრივი გაზის გადამუშავების შედეგად მიღებული ხელოვნური ბოჭკოს ამ 30 პროცენტმა ქსოვილს სრულიად ახალი თვისებები შესძინა: იგი უფრო გამძლე გახდა და, რაც ყველაზე უფრო სასიამოვნოა, არ იმჭუჭნება. და ასეთი კოსტიუმი წმინდა შალისაგან შეკერილ კოსტიუმზე ორჯერ უფრო იაფია.

⊙ ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოებისაგან საბჭოთა ქიმიკოსები ყოველდღიურად ქმნიან მასალებს, რომელთა შექმნისათვის ბუნებაშ „თავი არ შეიწუხა". უკვე მიღებულია მინა, რომელიც ტყვიითაც კი არ იხვრიტება.

⊙ ქლორინისაგან და ნახშირისა და კირის სინთეზის პროდუქტისაგან დამზადებულ თეთრეულს მაღალი სამკურნალო თვისებები ახასიათებს. ცნობილია ათასობით შემთხვევები, როცა ასეთი თეთრეულის ხანგრძლივ ტარებას განუკურნავს რადიკულიტითა და რევმატიზმით დაავადებული ავადმყოფები.

## მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

ქიმიური მრეწველობა მეურნეობის იმ დარგების რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მძლავრ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას ქმნიან.

ცნობილია, რომ 1955 წლისათვის 1950 წელთან შედარებით მრეწველობის საერთო პროდუქცია 85 პროცენტით გადიდდა, ხოლო ქიმიური წარმოებისა — 2-ჯერ.

ქიმიური წარმოება დიდ როლს ასრულებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკური პროგრესის საქმეში. თანამედროვე ავიაცია არ შეიძლება წარმოვიდგინოთ სპეციალური ქიმიური მასალების, სამშენებლო ინდუსტრია — ახალი სახის ნაერთებისა და მოსაპირკეთებელი მასალების, ენერგეტიკა — ახალი საიზოლაციო ნაერთების, ატომური ტექნიკა — ურანის, გრაფიტის, მძიმე წყლის, თორიუმის, ბერილიუმისა და ბეტონის, ხოლო სოფლის მეურნეობა — სასუქების ფართო ასორტიმენტის გამოუყენებლად. სწორედ ამიტომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ქიმიზაციას, ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრეების რაციონალურად და ეკონომიურად გამოყენებას.

ჩვენმა სახელმწიფომ 40 წლის განმავლობაში ისეთი წარმატებები მოიპოვა, როგორიც ისტორიას არ ახსოვს. 40 წლის წინათ ჩვენ არ გვქონდა საკუთარი აზოტოვანი ნაერთების წარმოება, ფოსფორიტები აფრიკიდან შემოგვქონდა, კოლჩედანს ესპანეთიდან ვეზიდებოდით, გოგირდს — იტალიიდან, კალიუმის მარილებს — გერმანიიდან და სხვ. ახლა კი ფოსფორიტები, კალიუმის მარილები და სხვა ქიმიკატები საბჭოთა კავშირს თვითონ გააქვს სხვა ქვეყნებში. ამჟამად საბჭოთა კავშირს პირველი ადგილი უჭირავს რკინის, მანგანუმის, ქრომის, ვანადიუმის, ვოლფრამის, სპილენძის, ტყვიის და მრავალი სხვა სახის მინერალური ნედლეულის რესურსებით, ხოლო ნავთობის და ნახშირის მარაგი მთელი მსოფლიო რესურსების ერთ მეხუთედს აღემატება.

ჩვენს ქვეყანაში მრავალი ქიმიური და ელექტროქიმიური წარმოებაა, რომლებიც ამზადებენ ასეულ ათას ტონობით სასუქებს, მჟავებს, მარილებს, საღებავებს, იშვიათ ლითონებს, ფოტო-კინომასალებს და სხვა ძვირფას ქიმიურ პროდუქტებს. ხოლო ქიმიური წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი — პლასტმასებისა და ხელოვნური ბოჭკოების დამზადება ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მზარდ მოთხოვნილებას.

თანამედროვე ქიმიური წარმოების ორ ძირითად წყაროს — ნავთობსა და ნახშირს ჯერ კიდევ არასრულყოფილად ვიყენებთ სინთეზური მასალების დასამზადებლად. ამიტომაც მეტად სასიხარულოა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის მიერ გათვალისწინებულია 1965 წლის დამლევისათვის ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოების წარმოება 1957 წელთან შედარებით გაიზარდოს 4,6-ჯერ, პლასტიკური მასალებისა და სინთეზური ფისების წარმოება — 8-ჯერ, ხოლო სინთეზური კაუჩუკის წარმოება — 3,4-ჯერ.

ჯერ კიდევ ქიმიური ტექნოლოგიის გარიჟრაჟზე დიდი რუსი მეცნიერი მენდელეევი წერდა: ნავთობი საწვავი არ არის, საწვავად ხომ ასიგნაციებიც გამოდგებოდაო. ეს სიტყვები, განსაკუთრებით ამჟამად, თვალნათლივ მეტყველებენ ნავთობის უდიდეს მნიშვნელობაზე, რამდენადაც მისგან მიღებული ძვირფასი პროდუქტები პლასტმასების, სინთეზური ბოჭკოს და კაუჩუკის დასამზადებელ მასალას წარმოადგენს.

ნავთობის ერთი ტონა ეთან-ეთილენის ფრაქცია იმდენივე სპირტს იძლევა, რამდენსაც 3,5-5 ტონა მარცვლეული, ხოლო ერთი ტონა ბუთან-ბუთილენის ფრაქცია ამ მხრივ ეთანაბრება 8-9 ტონა მარცვლეულს. სპირტი კი, როგორც ცნობილია, ამჟამადაც კაუჩუკის წარმოების ერთ-ერთ მთავარ მასალას წარმოადგენს. ხოლო თუ ამავე აირებიდან სპირტის ნაცვლად აცეტალდეჰიდი იქნა მიღებული, შემდგომში მისი გადამუშავებით რამდენიმე ათასი მეტრი კარგი ხარისხის ხელოვნური აბრეშუმი ან შტაპელი მომზადდება.

ეთილენიდან მიიღება არა მხოლოდ ეთილის სპირტი, არამედ პოლიეთილენიც, რომლისგანაც ზოგიერთი სპეციალური აპარატურა, ჭურჭელი და მრავალი სხვა საყოფაცხოვრებო ნივთი მზადდება.

პროპილენისგან ამზადებენ აცეტონს და ფენოლს, ხოლო ფენოლისგან — ფენოლფორმალდეჰიდურ ფისებს, რომლებიც ტექნიკაში დიდად გამოსაყენებელია.

ბუნებრივ აირებს შორის ყველაზე მეტი მნიშვნელობა აცეტილენს აქვს. აცეტილენიდან მიიღება ნიტრილ-აკრილის მჟავა, რომელსაც ერთ-ერთი უძვირფასესი ბოჭკოს — ნიტრონის მისაღებად იყენებენ. ნიტრონი თავისი თვისებებით მერინოსის შალს არ ჩამოუვარდება.

ენანტი და ფტორლონი კი ყველაზე ახალი სინთეზური ბოჭკოებია. ენანტი კაპრონზე უკეთესი თვისებებისაა, ხოლო ფტორლონი ძალიან მდგრადია ქიმიური აგენტების მიმართ.

აცეტილენიდან მიიღება აგრეთვე პოლიქლორვინილი, ხოლო პოლიქლორვინილის ფისებიდან — ხელოვნური ტყავი, ლინოლეუმი, ქლორონი და სხვ.

ქვანახშირიც სულ უფრო და უფრო მეტ გამოყენებას პოულობს ქიმიურ სინთეზში. ქვანახშირიდან მიღებული წყალბადი, ნახშირბადი, მეთანი, ეთილენი, აცეტილენი, ფისები და სხვა პროდუქტები ქიმიური სინთეზისათვის საჭირო ძვირფას მასალებს წარმოადგენენ.

აღსანიშნავია, რომ ხელოვნურად მიღებული ქიმიური ნაერთების თვისებები ხშირ შემთხვევაში ჩვენი სურვილის მიხედვით შეიძლება შევცვალოთ; დღეს უკვე ძნელი არ არის მათგან მინასავით გამჭვირვალე და რეზინივით ელასტიკური, ლითონივით მაგარი და კორპივით მსუბუქი ნივთების მიღება. ამასთანავე, თუ ცოტა ხნის წინათ სინთეზური გზით მიღებული საგნები არასრულყოფილობის გამო სუროგატებად იწოდებოდნენ, ამჟამად ისინი არა მარტო უფრო გამძლე და ადვილად მოსახმარნი არიან, არამედ ხშირ შემთხვევაში უფრო ლამაზადაც გამოიყურებიან.

ახალი აღმოჩენები და მიღწევები ქიმიის დარგში საშუალებას მოგვცემს შევქმნათ აქამდე უცნობი, კიდევ უკეთესი ახალი მასალები და ნაკეთობანი და ამით წინ წავწიოთ ჩვენი სახალხო მეურნეობა.

**ელ. ნანობაშვილი,**
პროფესორი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი.

## ქიმია — ტექნიკაში, მრეწველობაში,



# განვითარება საერთო-სახალხო საქმეა

★ ★

## კოლოიდური ქიმიის შემდგომი განვითარებისათვის

ოთხ დღეს მიმდინარეობდა მეოთხე სრულიად საკავშირო კონფერენცია კოლოიდური ქიმიის საკითხებზე. მთელი მისი მუშაობა წარიმართა იმ ნიშნით, რომ ქიმიური მეცნიერების მუშაკებმა მთელი თავიანთი ძალები და შემოქმედებითი უნარი დარაზმონ იმ პასუხსაგები ამოცანების შესრულებისათვის, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ ჩვენი ქვეყნის ქიმიურ მრეწველობას დაუსახეს.

კონფერენციაზე შეიქმნა ხუთი სექცია: დისპერსიულ სისტემათა ზედაპირული მოვლენებისა და მდგრადობის, აეროზოლთა ადსორბციის, წარმოქმნისა და დაშლის, სტრუქტურის წარმოქმნის ფიზიკურ-ქიმიური მექანიკისა და პროცესების, თიხებისა და ტორფის კოლოიდური ქიმიისა და პოლიმერთა დისპერსიული სისტემების და ნახევრადკოლოიდებისა.

სამმა პლენარულმა სხდომამ და სექციების ოცდაოთხმა სხდომამ მოისმინა 160 მოხსენება და სიტყვა კოლოიდური ქიმიის ყველა უმნიშვნელოვანეს თეორიულ და გამოყენებით საკითხებზე.

ბევრი ნამუშევარი მიეძღვნა სტრუქტურის წარმოქმნისა და პლასტიკური და დიდგამძლე სხეულთა, უმთავრესად სხვადასხვა მექანიკური თვისების საშენ მასალათა პრობლემებს. მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიკოს მეცნიერთა ბევრი მოხსენება შეეხებოდა სხვადასხვა შემადგენლობის ცემენტის გამყარების პროცესების კანონზომიერებას წყალთან ურთიერთმოქმედების დროს.

კონფერენციაზე დიდი ინტერესი გამოიწვია ქართველ მეცნიერთა შრომებმა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრმა კორესპონდენტმა გ. ციციშვილმა წარმოადგინა საინტერესო გამოკვლევები სხვადასხვა ბუნებრივი და აქტივიზებული ადსორბენტების ადსორბციის და ქიმიური პროცესების კატალიზატორად მათი გამოყენების დარგში. პროფესორმა მ. შიშნიაშვილმა ილაპარაკა საქართველოს ბენტონიტური თიხების კოლოიდურ თვისებებზე და მათი სუსპენციის გამოკვლევაზე. ამ ნაშრომს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ნიადაგის ნაყოფიერების გადიდებისა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველების გაჯანსაღებისათვის. პროფესორმა ე. ნანობაშვილმა წარმოადგინა შრომა ქიმიური მეცნიერების ახალი მიმართულების — რადიაციული კოლოიდური ქიმიის დარგში.

კონფერენციის მონაწილენი გაეცნენ პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ელექტროქიმიისა და გამოყენებითი ქიმიის ინსტიტუტის, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკისა და ქიმიის ფაკულტეტების და რესპუბლიკის სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა მუშაობას, იყვნენ საქართველოს დედაქალაქის მუზეუმებში.

16 მაისს გაიმართა კოლოიდური ქიმიის საკითხებზე IV სრულიად საკავშირო კონფერენციის საბოლოო პლენარული სხდომა. სხდომამ მოისმინა პროფესორ მ. ვოლიაროვიჩის მოხსენება „წყლის თვისებებისა და ტორფის სტრუქტურის შესწავლა რადიაქტიური იზოტოპების დახმარებით", პროფესორ მ. შიშნიაშვილის მოხსენება „ელექტროლიტების ადსორბცია და ჰემოსორბცია კოლოიდურ-დისპერსიულ ალუმინსილიკატურ სისტემებში" და სხვ.

შეაჯამა რა კონფერენციის შედეგები, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა პ. რებინდერმა აღნიშნა, რომ განსაკუთრებით აქტუალური და დიდმნიშვნელოვანია წარმოდგენილი მოხსენებები სწორედ ახლა, როცა საბჭოთა ქიმიკოსი მეცნიერები ჩვენი ქვეყნის ქიმიური მრეწველობის მუშაკებთან ერთად ახორციელებენ მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

კონფერენციის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ კომუნისტური პარტიის ღონისძიებანი, რომელთა მიზანია დააჩქარონ ქიმიური მრეწველობის განვითარება, დიდ პასუხისმგებლობას აკისრებენ ქიმიური მეცნიერების მუშაკებს. გადაწყვეტილებაში დასახულია ამოცანები, რომლებიც დგას საბჭოთა მეცნიერების წინაშე კოლოიდური ქიმიის დარგში. (საქინფორმი).

★ ★

## ახალი ორგანულ-მინერალური მიკროსასუქები

ამ ბოლო დროს სოფლის მეურნეობაში სინთეზურ პოლიმერულ ნაერთებს იყენებენ როგორც ნიადაგის სტრუქტურის შემქმნელებს და ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტის კოლოიდური ქიმიის ლაბორატორია მრავალი წელია მუშაობს ბუნებრივი პოლიმერული ნივთიერებების საფუძველზე ახალ სახეობათა ორგანომინერალური მიკროსასუქების მიღებისა და გამოყენების საკითხებზე. ეს ნაერთები ქიმიური თვისებებისა და მცენარეულობაზე ბიოლოგიური ზეგავლენის მიხედვით პრინციპულად განსხვავდებიან დღემდე გამოყენებული სხვადასხვა მიკროელემენტების არაორგანული შენაერთებისაგან — რკინისა, მარგანეცისა, თუთიისაგან და სხვ., რომლებსაც, როგორც ცნობილია, ფართოდ იყენებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქციის გადიდების მიზნით. მაგრამ მთელ რიგ ნიადაგებში მიკროელემენტების არაორგანული ნაერთები ან მეტად სუსტ ეფექტს იძლევიან, ან საერთოდ არ იძლევიან დადებით შედეგს. მაგალითად, საქართველოს პირობებში, კარბონატულ ნიადაგებზე გავრცელებულია ვაზისა და სხვა მრავალ კულტურათა ქლოროზი. ზიანი, რომელიც ქლოროზს სოფლის მეურნეობისათვის მოაქვს, დიდია და წლითიწლობით მნიშვნელოვნად მატულობს.

კოლოიდური ქიმიის ლაბორატორიების მუშაობამ ექსპერიმენტულად დაამტკიცა, რომ კარბონატულ ნიადაგებში მცენარეთა ქლოროზით დაავადების უმთავრესი მიზეზია კირის მაღალი აქტივობა, რაც ხელს უშლის მცენარის მიერ ნიადაგიდან რკინის, მარგანეცის, თუთიისა და სხვა ელემენტების შეთვისებას, რომლებიც აუცილებელია მცენარეთა ნორმალური ზრდისა და განვითარებისათვის. ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივი მიკროელემენტების არაორგანული ნაერთები დადებით შედეგებს არ გვაძლევენ.

მცენარეთა ქლოროზით დაავადებასთან ბრძოლის მიზნით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტის კოლოიდური ქიმიის ლაბორატორიებში დამზადებულ იქნა 13 სახეობის მიკროსასუქები მცენარეული ნედლეულის სხვადასხვა ნარჩენებისაგან პოლიმერული ნახშირწყალბადების კანგვითი დაშლის გზით. ეს პრეპარატები წარმოადგენენ ბუნებრივი ორგანულ-მინერალური ნაერთების ახალ კლასს და იჩენენ მთელ რიგ სპეციფიკურ თვისებებს — ტუტე გარემოში მაღალ გამძლეობას და სხვ.

ჩვენ მიერ მიღებული პრეპარატები პირველ რიგში გამოსაყენებელია ქლოროზის წინააღმდეგ ბრძოლაში და მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის. ამ პრეპარატების გამოყენებას დიდი პერსპექტივები აქვს.

ამ ბოლო დროს მთელ რიგ ქვეყნებში წარმოებს მუშაობა მცენარეული ნედლეულის ნარჩენების (მაგალითად, ბრინჯის ჩალა და სხვ.) გამოყენებისათვის მაღალეფექტური პრეპარატების დასამზადებლად, რომლებიც სტიმულს აძლევენ მცენარეთა ზრდა-განვითარებას.

საუწყებო დაწესებულებებთან ერთად სამრეწველო პირობებში კოლოიდური ქიმიის ლაბორატორიებში მიღებულ ორგანულ-მინერალურ მიკროსასუქებზე ჩვენ მიერ ჩატარებული ცდები ამტკიცებენ მათს ვარგისიანობას და პერსპექტიულობას მცენარეთა ქლოროზთან ბრძოლაში, აგრეთვე სხვადასხვა კულტურათა მოსავლიანობის მნიშვნელოვნად გადიდების საქმეში.

ჯერ კიდევ 1950-1952 წლებში პროფესორმა ლ. ჯაფარიძემ და მეცნიერმა მუშაკმა თ. მაზანაშვილმა (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტი) რკინისა და მანგანუმის აღნიშნული ორგანული ნაერთები, წყალში განზავებული, გამოსცადეს ქლოროზულ ვაზებზე მოსხურების გზით. ამავე პერიოდში აგრონომი ა. კობახიძე ანალოგიურ ცდებს აწარმოებდა სოფელ შაუმიანში. ეს ცდები დადებით შედეგებს გვაძლევს ვაზის ქლოროზით დაავადებასთან ბრძოლაში.

აღნიშნული პრეპარატების გამოცდა ხირსის საბჭოთა მეურნეობაში უფრო ფართო საწარმოო პირობებში მოაწყეს 1956-1957 წლებში ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა თ. მაზანაშვილმა, ამავე მეურნეობის მთავარმა აგრონომმა ვ. ავსაჯანიშვილმა და უბნის აგრონომმა ვაზის ქლოროზთან ბრძოლის მიზნით.

ანალოგიური წინასწარი ცდები თ. მაზანაშვილმა ჩაატარა. აგრეთვე ახმეტის რაიონის სოფელ მატნისა და თელავის რაიონის სოფელ წინანდლის ვენახების ქლოროზულ უბნებზე. ყველა ამ ცდის შედეგად უმეტეს შემთხვევაში შემჩნეულ იქნა ქლოროზული ვაზების საერთო მდგომარეობის გაუმჯობესება.

ამასთან ერთად მთელ რიგ საცდელ სადგურებზე გამოცდილ იქნა ისეთი ორგანულ-მინერალური მიკროსასუქები, რომლებიც შეიცავდნენ სხვა მიკრო და მაკრო ელემენტებს. პრეპარატების ხსნარებით ორჯერადი მოსხურების შედეგად ლაგოდეხის თამბაქოსა და წყნეთის საცდელ სადგურზე მიღწეულ იქნა თამბაქოს ყვავილობის დაჩქარება, აგრეთვე თესლის მოსავლიანობის გადიდება 40 პროცენტით.

ამავე საცდელ სადგურზე აღნიშნული პრეპარატების ნარევთა ხსნარებით 2-3-ჯერადი მოსხურებით მიღწეულ იქნა კომბოსტოს მოსავლის გადიდება 50-დან 100 ცენტნერამდე ჰექტარზე. ყველა ეს ცდა ეწყობოდა ლაგოდეხის საცდელი სადგურის დირექტორის ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ამხ. ბრეგაძის ხელმძღვანელობით, ქიმიზაციის განყოფილების გამგის აგრონომ ტექნიკოს ბორისენკოს, საცდელი სადგურის ბრიგადირის ბლიაძის და სხვათა მონაწილეობით.

მიზანშეწონილი და დროულია ასეთ სამუშაოთა შემდგომი გაშლა, რის საბოლოო მიზანია ახალი მაღალეფექტური სამარკო პრეპარატების მიღება.

**მ. შიშნიაშვილი,**
პროფესორი.



თბილისის პლასტმასის ქარხანა. გივი ბერიძემ გასულ წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და გადაწყვიტა წარმოებაში წასულიყო სამუშაოდ. ერთი წლის განმავლობაში მან სავსებით აითვისა პლასტმასის ნაკეთობათა წარმოება. ახლა ის მეხუთე თანრიგის მწნეხავია და უმაღლესი კატეგორიის ნაკეთობათა დამზადებაზე მუშაობს. სურათზე: ცვლის უფროსი ს. არუთინოვი (მარჯვნივ) გ. ბერიძისაგან იღებს პლასტმასის მზა ნაწარმს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

## ქართული მარკის პლასტმასის ნაკეთობანი

ჩვენი რესპუბლიკა მდიდარია თითქმის ყველა სახის საპლასტმასე ნედლეულით. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის, რუსთავის კოქსქიმიური საწარმოების ნარჩენები, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის გაზები, ყოველივე ეს ჩვენში ჯერ ისევ გამოუყენებელი ან თითქმის გამოუყენებელია. ამას მივუმატოთ ისიც, რომ ბუნებრივი რესურსებიც მოგვეპოვება, მაგრამ მათი გამოვლინება-გამოყენება კი ჯერ მოუწესრიგებელი გვაქვს.

პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ მოგვთხოვეს დავაჩქაროთ ქიმიური მრეწველობისათვის საჭირო ადგილობრივი რესურსების გამოვლინება და შესწავლა. ამ საქმეს ახლავე უნდა მოჰკიდოს ხელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტმა. უნდა შეიქმნას ამ ინსტიტუტთან პლასტიკური მასების განყოფილება, რომელიც სათავეში ჩაუდგება სათანადო სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას.

თბილისის პლასტიკური მასების ქარხანა რესპუბლიკაში ამ დარგის ყველაზე დიდი და ტექნიკურად კარგად აღჭურვილი საწარმოა, რომელიც კოოპერირებულია მთელ რიგ მანქანათმშენებელ და ელექტროტექნიკურ ქარხნებთან. იგი პლასტმასის ნაკეთობებით ამარაგებს თბილისის ელექტროტექნიკურ ქარხნებს — „ელექტროავტომატს", „ელექტროგამზომს", ელექტრომავალმშენებელ ქარხანას, მინსკის და სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნებს, ქალაქ ორჯონიკიძის სატრაქტორო მოწყობილობისა და ელექტროკონტაქტორების საწარმოს, აგრეთვე მოსკოვის რამდენიმე ქარხანას.

გარდა ასეთი დეტალებისა ჩვენი ქარხანა უშვებს ელექტროგამართულობის დეტალებს და ელექტროტექნიკურ ნაწარმს უკვე აწყობილი სახით. ქარხანა ყოველწლიურად მრავალი ათი მილიონი მანეთის პროდუქციას გვაძლევს, აქედან თითქმის 80 პროცენტი ქარხანაშივე აწყობილ პროდუქციაზე მოდის, რაც ქარხნის პროფილს არ შეესაბამება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის დადგენილებაში მკაფიოდ არის აღნიშნული, რომ ახლა ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარება, ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოების, პლასტიკური მასალებისა და სხვა სინთეზური მასალების და მათ ნაკეთობათა წარმოების გადიდება საყოველთაო-სახალხო საქმე უნდა გახდეს.

თავის მოხსენებაში იმავე პლენუმზე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, დაწვრილებით განმარტავს რა პლასტიკური მასების წარმოების გაფართოების მნიშვნელობას, აღნიშნავს, რომ პლასტიკური მასებისაგან შეიძლება გავაკეთოთ არა მარტო სხვადასხვა მანქანათა დეტალები და კვანძები — ღილვები, საკისრები, ტვიფრები, სამაგრი დეტალები, კბილანები და ა. შ., რაც ფერადი ლითონის დიდ ეკონომიას მოგვცემს, არამედ ამასთან პლასტიკური მასებისაგან შეიძლება გაკეთდეს სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობა, წყალსადენის მილები, ფანჯრის ჩარჩოები, კიბის საფეხურები და მოაჯირები, კარები, ყოველგვარი პროფილის სამშენებლო დეტალები და მკვიდრი, სამუდამო სახურავი მასალა, რომელიც მჩატე და ამასთან კოროზიისაგან დაზღვეულია.

გამოცდილებით უკვე დიდი ხანია ცნობილი, რომ ერთი ტონა პლასტიკური მასალის გამოყენება, მაგალითად, მანქანათმშენებლობაში გვაძლევს 3-დან 6 ტონამდე ძვირფასი ფერადი ლითონის ეკონომიას.



თბილისის პლასტმასის ქარხანაში ყველა შესაძლებლობაა იმისათვის, რომ მოვაწესრიგოთ თითქმის ყველა სახისა და პროფილის პლასტიკური მასალების — ტექსტოლიტის, მინატექსტოლიტის, ჰეტინაქსის, პოლიეთილენის, ეტროლის, პოლისტიროლის, პოლიქრონვინილის, პოლივინილაცეტატის, ვინიპლასტის, ფტორპლასტის, ფაოლიტის და სხვა პლასტიკური მასალების გადამუშავება და მათგან ნაკეთობათა გამოშვება.

ჩვენი ქარხნის კოლექტივისათვის უკვე აღარ წარმოადგენს პრობლემას, მაგალითად, წყალსადენის პლასტმასის მილების გამოშვების ტექნოლოგია, ან სხვადასხვა პროფილის საშენი დეტალების პლასტმასისაგან დამზადება. ჩვენს კოლექტივს შეუძლია პლასტმასისაგან დაამზადოს იატაკისა და კედლის მოსაპირკეთებელი ლამაზი ფილები, ბოთლის საცობები, რაც უფრო იაფი, ჰიგიენური და გამოსაყენებლად უფრო ხელსაყრელია, ვიდრე კორპი, რომელიც უცხო ქვეყნებიდან შემოგვაქვს.

მაგრამ ყოველივე ამისათვის აუცილებელია ქარხნის კოლექტივს სათანადო პირობები შეუქმნან. ამისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა საწარმოო ფართობი.

გადაუდებლად საჭიროა განახლებულ იქნას ქარხანასთან ახალი საინსტრუმენტო საამქროს კორპუსის მშენებლობა, რათა საშუალება გვქონდეს არსებული საინსტრუმენტო საამქროს ადგილზე გავმართოთ პლასტმასის საწნეხელო მანქანები. თუ საწარმოო ფართობს გავათავისუფლებთ, ქარხნის კოლექტივი შეძლებს სრული სიმძლავრით აითვისოს არსებული მოწყობილობა, სულ ცოტა 20 პროცენტით გაადიდოს პროდუქციის გამოშვება.

მხედველობაში მისაღებია ის, რომ დასახულია საქართველოს ელექტროტექნიკური მრეწველობის საგრძნობლად გაფართოება. გათვალისწინებულია უახლოეს წლებში რესპუბლიკაში ამუშავდეს ორ ათეულზე მეტი ელექტროტექნიკური საწარმო. ყოველ მათგანს დასჭირდება მრავალი სახელწოდების პლასტმასის ნაკეთობები. ამ ნაკეთობებით მათი მომარაგებისათვის კი მიზანშეწონილია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ ამთავითვე მიიღოს ზომები თბილისში უკვე არსებული პლასტმასის ქარხნის სიმძლავრის გასადიდებლად.

ყოველივე ეს უნდა გაკეთდეს, სათანადო ნაბიჯები ამთავითვე უნდა იქნას გადადგმული, რათა უზრუნველვყოთ ქართული მარკის პლასტმასის ნაკეთობათა ასორტიმენტის გაფართოება.

საჭიროდ მიგვაჩნია აქვე შევჩერდეთ კადრების მომზადებისა და მართვის ორგანიზაციის ზოგ საკითხზე. უკვე გამოქვეყნდა ცნობები იმის შესახებ, რომ რესპუბლიკაში უნდა აშენდეს ქიმიური მრეწველობის ახალი საწარმოები, კაპროლაქტამის ქარხანა, სინთეზური მასალების საწარმოები. მაშასადამე, მოთხოვნილება საშუალო და უმაღლესი განათლების კადრებზე გაიზრდება, ხოლო ამ კადრების მოსამზადებლად ჯერჯერობით არაფერი კეთდება. საჭიროა ეს საკითხი დაჩქარებით გადაიჭრას, გაიხსნას სპეციალური ტექნიკუმი, საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან მოეწყოს პლასტმასის ფაკულტეტი. აუცილებლად საჭიროა ამასთან მოეწყოს არსებული კადრების მივლინებები საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის პლასტმასის საწარმოებში მოწინავე გამოცდილების გასაცნობად. ამ საქმეს ხელი უნდა მოჰკიდოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ.

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში ქიმიური მრეწველობა წარმოდგენილი იყო რამდენიმე საწარმოთი. მათ შორის არის პლასტმასის ქარხანა. მაგრამ რატომღაც ეს ქარხანა გაერთიანებულია მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოებთან ერთ დარგობრივ სამმართველოში. ასეთი გაერთიანება მიზანშეწონილი აღარ არის და, ვფიქრობთ, ცუდი არ იქნება, თუ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო ამ საკითხზე იმსჯელებს, შექმნის ქიმიური მრეწველობის დარგობრივ სამმართველოს.

ყველა პირობა არსებობს რესპუბლიკაში პლასტმასების ასორტიმენტის გაფართოებისათვის, მაღალი ხარისხის ქართული მარკის პლასტიკურ ნაკეთობათა გამოშვებისათვის. ამოცანა ის არის, რომ უნარიანად, ოსტატურად გამოვიყენოთ ეს პირობები!

**მ. მანტურია,**
თბილისის პლასტმასის ქარხნის დირექტორი.

## დიდი ქართველი მეცნიერი ქიმიკოსები

ქიმიური მრეწველობის განვითარების საკითხებზე ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა გამოიწვია მშრომელთა ცხოველი ინტერესი ქიმიური ცოდნისადმი. საბჭოთა ადამიანებს სურთ უკეთ იცნობდნენ სოციალისტური ეკონომიკის განვითარების წარმატებებს, ქიმიური მეცნიერების მიღწევებს, ჩვენი გამოჩენილი მეცნიერი ქიმიკოსების ცხოვრებას, მათს მდიდარ მემკვიდრეობას.

სასიხარულო და საამაყოა ვიცოდეთ, რომ ჩვენი ქართული ქიმიური მეცნიერების სათავეებთან იდგნენ გამოჩენილი მეცნიერები ვასილ პეტრიაშვილი და პეტრე მელიქიშვილი. მათ პირველთ ხვდათ წილად, პროფ. ივანე თარხნიშვილთან ერთად, დაეწყებათ აღორძინებული ქართული საბუნებისმეტყველო მეცნიერების აკვანი მეცხრამეტე საუკუნის სამოციან-ოთხმოციან წლებში.

გასული საუკუნის სამოციანი წლები ჩვენი ეროვნული ენერგიის საოცარი გაღვიძებისა და დავაჟკაცების წლები იყო. თერგდალეულების თაობას დააკისრა ისტორიამ ფართო სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა, და არა მარტო მწერლობის დარგში. ამ დროს ეკუთვნის ჩვენი საბუნებისმეტყველო მეცნიერების და, კერძოდ, ქიმიის აღორძინება და განვითარება. ეს დიდებული ამოცანა იტვირთეს ვასილ პეტრიაშვილმა და პეტრე მელიქიშვილმა, რომლებიც სამოციანი წლების პლეადის საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ მეცნიერებაში.

ეს ორი ბუმბერაზი რამდენიმე ათეული წელი ერთად ეწეოდა მშობლიური მეცნიერების უღელს. მართალია, ჯერ კიდევ 1908 წელს პეტრე მელიქიშვილმა თავისი ტოლი დაკარგა, მაგრამ მას გვერდში ამოუდგნენ მისი და ვასილ პეტრიაშვილის აღზრდილები, რომლებმაც შეძლეს მათ მიერ დაწყებული საქმის შემდგომი გაფურჩქვნა.

უფრო მეტიც, პეტრე მელიქიშვილს წილად ხვდა ბედი მიეცა ქართული ქიმიური მეცნიერებისათვის უკვე ქართულ უნივერსიტეტში და თავისი თვალით ენახა იმ ოცნების სინამდვილედ ქცევა, რისთვისაც სამშობლოსაგან მოწყვეტილი ორი მეგობარი დიდხანს ილვწოდა.

თავიანთი სოციალური წარმოშობით ვასილ პეტრიაშვილი და პეტრე მელიქიშვილი ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდებოდნენ. ვასილ პეტრიაშვილი იყო შვილი ღარიბი სოფლის მღვდლისა, რომელსაც თავისი შვილისათვის სასულიერო კარიერაზე უკეთესი ვერაფერი წარმოედგინა. პეტრე მელიქიშვილს კი შეძლებული მშობლები ჰყავდა და გზა ხსნილი ჰქონდა თავისი სანუკვარი მიზნების განსახორციელებლად. მით უმეტეს, ეს მიზნები ყალიბდებოდა იმ კეთილმყოფელ ოჯახურ გარემოცვაში, რომელშიც ტრიალებდნენ სამოციანი წლების ქართველი მოღვაწენი ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და სხვ.

ვასილ პეტრიაშვილი სამოციანი წლების ქართველ მოღვაწეთა იდეებს იაკობ გოგებაშვილისაგან ეზიარა. უფრო გვიან თავისი ცხოვრების გზაზე ის შეხვდა ნიკო ნიკოლაძეს და პირველად მისგან გაიგონა გამამხნევებელი რჩევა, მასში იპოვნა თავის გადაწყვეტილებათათვის მტკიცე მხარდამჭერი. თავისი ქვეყნის პატრიოტი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ქართველი ხალხის ეკონომიური აღორძინების საწინდარი განვითარებული სოფლის მეურნეობაა და მისი ვალია თავი შესწიროს მშობლიური ხალხის აღზრდას, მისი ცოდნის ამაღლებას.

იგივე იდეები აღძრა პეტრე მელიქიშვილს, როცა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ოდესას მიაშურა უმაღლესი განათლების მისაღებად. სამოციანი წლების ქართველ მოღვაწეებთან ერთად ბუნებისმეტყველებისადმი სიყვარული მას აღუძრეს რუსეთის რევოლუციონერ დემოკრატთა მესვეურებმა გერცენმა, ჩერნიშევსკიმ და პისარევმა. და როდესაც მან ოდესის უნივერსიტეტში ნახა მოწინავე ქართველი, იმავე მიზნით გამსჭვალული, როგორც თვითონ იყო, ბუნებრივად დაუკავშირდა მას, გახდა მისი ერთგული მოწაფე და შემდეგ მეგობარი.

ძნელია თვითეული მათგანის სამეცნიერო ღვაწლის აღრიცხვა და დაფასება. თითქმის ორმოცი წლის მანძილზე ეწეოდა პროფესორი ვასილ პეტრიაშვილი სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ოდესის უნივერსიტეტში. მან განვლო სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის ყველა საფეხური, ლაბორანტობიდან დაწყებული და რექტორის თანამდებობით დამთავრებული.

ორმოცზე მეტი წლის განმავლობაში თავდადებულად ემსახურებოდა პროფესორი პეტრე მელიქიშვილი ქიმიურ მეცნიერებას ოდესის უნივერსიტეტში, სადაც ბევრი ძვირფასი აღმოჩენით უკვდავყო თავისი სახელი.

დიდი მეცნიერები ამავე დროს მგზნებარე პოლიტიკური მოღვაწეებიც იყვნენ. როგორც პროგრესული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, ისინი დაუღალავად იბრძოდნენ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ვასილ პეტრიაშვილს ეკუთვნის ძვირფასი გამოკვლევები ორგანული ქიმიის მრავალ დარგში. ფიზიკური ქიმიიდან თვალსაჩინო ნაშრომს წარმოადგენს გამოკვლევები ქიმიურ სწრაფვაზე, ქიმიურ რეაქციათა სიჩქარეებზე, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების ტექნოლოგიაში.

ფასდაუდებელი დამსახურება მიუძღვის პეტრე მელიქიშვილს არაორგანული და ორგანული ქიმიის განვითარებაში. მისი გამოკვლევები ზეჟანგებისა და ზემჟავების დარგში მიზნად ისახავდა მენდელეევის გენიალური ქმნილების — პერიოდულობის სისტემის განმტკიცებას და დასაბუთებას და მთელი რიგი სადავო საკითხების გადაჭრას, რამაც საქვეყნო სახელი მოუხვეჭა ქართველ მეცნიერს. ამ გამოკვლევათა ავტორი მეცნიერებათა აკადემიამ ლომონოსოვის სახელობის პრემიით დააჯილდოვა. თვით მხცოვანი მენდელეევი, ახალი გამოკვლევებით აღტაცებული, პეტრე მელიქიშვილს პერიოდულობის სისტემის განმამტკიცებელს უწოდებდა.

საქვეყნო აღიარება ჰპოვა პეტრე მელიქიშვილის შემოქმედებამ ორგანულ ქიმიაში. მას ეკუთვნის შედარებით ნაკლებად განვითარებული, მაგრამ მეტად საინტერესო დარგი, რომელმაც თანამედროვე ორგანულ სინთეზში დიდი მნიშვნელობა მოიპოვა.

ქიმიის დიდი თეორეტიკოსები პრაქტიკულ დაუღალავ მოღვაწეობას ეწეოდნენ თავიანთი ხალხის აგრონომიული ცოდნის გასაღრმავებლად. ცნობილია, რომ ვასილ პეტრიაშვილი ოცნებობდა საქართველოში სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სკოლის შექმნაზე და არა მარტო ოცნებობდა, არამედ მოლაპარაკებას აწარმოებდა კიდეც ამ სასწავლებლის დაარსებაზე ცნობილ ქართველ ქველმოქმედ სტეფანე ზუბალაშვილთან, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ასეთმა დიდმა წამოწყებამ მეფის რუსეთში კრახი განიცადა. ვასილ პეტრიაშვილმა მაინც გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები ამ საქმის განსახორციელებლად: მან შექმნა ქართულ ენაზე შესანიშნავი სახელმძღვანელოები მევენახეობა-მეღვინეობის დარგში.

მრავალმხრივ პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდა პეტრე მელიქიშვილიც. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ სოფლის მეურნეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხალხის კეთილდღეობისათვის; საქმითა და სიტყვით ქადაგებდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიზანშეწონილად დამუშავებისა და გამოყენების აუცილებლობას. მის ამ იდეებს ფრთა შეესხა მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და ქართველი ხალხის მთელ ცხოვრებასთან ერთად სოფლის მეურნეობაც გადახალისდა და სოციალისტურად გარდაიქმნა.

წლების განმავლობაში პეტრე მელიქიშვილი სამხრეთ რუსეთის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი იყო. საქართველოში მან განაგრძო მოღვაწეობა როგორც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარემ.

თუ ვასილ პეტრიაშვილი ვერ ეღირსა საქართველოში უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლების კერის შექმნას, მისმა მეგობარმა პეტრე მელიქიშვილმა შეძლო დიდმნიშვნელოვანი მონაწილეობა მიეღო თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში და განახორციელა თავისი მეგობრის ოცნება, ქართულ ენაზე წაიკითხა ქართველი სტუდენტებისათვის პირველი ლექცია ქიმიაში.

ქართული მეცნიერების პატრიარქი პეტრე მელიქიშვილი საქართველოში ახლად დაარსებული უნივერსიტეტის პირველი რექტორი იყო და ქართველი სტუდენტობის განუყრელ მეგობრად და მამად ითვლებოდა, ისევე როგორც ოდესაში ვასილ პეტრიაშვილი.

პეტრე მელიქიშვილს დიდხანს არ დასცალდა მოღვაწეობა განახლების გზაზე დამდგარ სამშობლოში. ის თითქოს გრძნობდა თავისი სიცოცხლის დასასრულს და გაათკეცებული ენერგიით ცდილობდა რაც შეიძლება მეტი გაეკეთებინა და დაეტოვებინა მემკვიდრეობად.

ორივე დიდმა მეცნიერმა ქართველ ხალხს დაუტოვა ძვირფასი მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელზეც ვითარდება ქიმია საქართველოში და იზრდება ათასობით მუშაკი.

**ვ. კოკოჩაშვილი,**
ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

## სოფლის მეურნეობაში, ყოფაცხოვრებაში...



# სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

16 მაისს გამოქვეყნდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში გამართული ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის (ნატო) საბჭოს სესიის გამო, რომელშიც მონაწილეობდნენ ამ სამხედრო დაჯგუფების წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრები.

ნატოს საბჭოს კოპენჰაგენის სესიის მთავარი მიზანი, ნათქვამია განცხადებაში, ის იყო, რომ შეთანხმებულიყვნენ ერთობლივი პოლიტიკური ხაზის შესახებ, რომელიც ხელს შეუწყობდა ახალ ღონისძიებათა განხორციელებას გამალებული შეიარაღებისა და „ცივი ომის“ გაღვივების დარგში.

საბჭოთა მთავრობა, აღნიშნულია შემდეგ განცხადებაში, მტკიცედ მოითხოვდა და კვლავაც მტკიცედ მოითხოვს, რომ აუცილებლად გადაიჭრას გადაუდებელი მომწიფებული საერთაშორისო საკითხები, რომელთა მოწესრიგებაზეც დამოკიდებულია მშვიდობის ბედი.

განცხადებაში მოცემულია ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის (ნატო) საბჭოს მაისის სესიის გადაწყვეტილებათა შეფასება. ნატოს საბჭოს მაისის სესიაზე იყო ცდა — უკან გადაედგათ ნაბიჯი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის თათბირის მოწყობის საკითხში.

საბჭოთა კავშირი, ნათქვამია განცხადებაში, ისევე როგორც სოციალისტური ბანაკის ყველა სახელმწიფო, მტკიცედ იცავს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ხაზს და მოითხოვს მოეწყოს თათბირი უმაღლეს დონეზე. საბჭოთა მთავრობამ წინადადება შეიტანა, რომ უმაღლეს დონეზე თათბირმა განიხილოს ისეთი საკითხები, როგორიც არის:

სახელმწიფოებმა შეწყვიტონ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა, რაც პირველი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილების გზაზე;

უარი თქვან ატომური და წყალბადის იარაღის გამოყენებაზე და ამ მიზნით დადონ შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმება;

დადონ ნატოს და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა შორის თავდაუსხმელობის შეთანხმება;

შექმნან ევროპის ცენტრში ატომური, წყალბადისა და რაკეტული იარაღისაგან თავისუფალი ზონა;

განიხილონ აგრეთვე მთელი რიგი სხვა მომწიფებული საერთაშორისო პრობლემები.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა წამოაყენა წინადადება უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევის შესახებ, ნათქვამია განცხადებაში, ნატომ განახორციელა შემდეგი:

დაიდო შეთანხმება ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს შორის იმის შესახებ, რომ ინგლისის ტერიტორიაზე შეიქმნას ამერიკის რაკეტული და ატომური ბაზები;

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ახორციელებს ღონისძიებებს, რათა ასეთივე ბაზები ააგოს ნატოს მონაწილე სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე;

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგმა მიიღო გადაწყვეტილება დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალების ატომური და რაკეტული იარაღით აღჭურვის შესახებ და ეს გადაწყვეტილება მოიწონეს ნატოს სხვა მონაწილეებმა;

ნატოს უმაღლესმა შტაბებმა მოითხოვეს, რომ ერთიორად გადიდდეს ნატოს შეიარაღებული ძალების რიცხვი ევროპაში;

მოეწყო „პულები“ უახლეს სახეობათა შეიარაღების საწარმოებლად ასეთ წარმოებაში დასავლეთ გერმანიის მონაწილეობით;

აწარმოებენ ამერიკისა და ინგლისის ატომგულის იარაღის ახალ საცდელ აფეთქებებს უკვე მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის მიერ ასეთი გამოცდის შეწყვეტის შესახებ.

ნატოს სახელმწიფოებს, ნათქვამია დასასრულ, არ ძალუძთ დაუპირისპირონ საბჭოთა კავშირის მიერ ატომგულის იარაღის გამოცდის ცალმხრივ შეწყვეტას და შეიარაღებული ძალების შემდგომ შემცირებას რაიმე ისეთი კონკრეტული საქმე, რომელიც მშვიდობის ინტერესებს ემსახურებოდეს.

უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევის საკითხთან დაკავშირებით განცხადებაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირთან „წინასწარი პირობების“ ენით ლაპარაკის ცდებს არასოდეს არ მოჰყოლია და არც მოჰყვება წარმატება. უმაღლეს დონეზე თათბირი ვაჭრობის საგანი კი არ არის, არამედ ჩვენი დროის საარსებო მოთხოვნილებაა. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პრეტენზიები, რომ თათბირში მონაწილეობის თავისი თანხმობის სანაცვლოდ ცალმხრივი დათმობანი მიიღოს საბჭოთა კავშირისაგან, სრულიად უნიადაგოა.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, ცდილობს საბჭოთა კავშირისაკენ ატომური და წყალბადის ბომბებით დატვირთულ ამერიკის ბომბდამშენთა ფრენის დაუყოვნებლივ შეწყვეტის საკითხი შეცვალოს არქტიკაში ინსპექციის ზონის დაწესების საკითხით. არქტიკაში ინსპექციის დაწესების შესახებ ამერიკის წინადადების მიღება ოდნავაც ვერ წასწევს წინ მთლიანად საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და უეცარი თავდასხმის საფრთხის, და, მაშასადამე, ატომური ომის დაწყების თავიდან აცილების საქმეს.

საბჭოთა კავშირი, ნათქვამია განცხადებაში, მოითხოვს, რომ რადიკალურად გადაიჭრას განიარაღების პრობლემა. იგი მზად არის თუნდაც დღესვე შეუთანხმდეს ამაზე სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებს. მაგრამ თუ დასავლეთის სახელმწიფოები განიარაღების საკითხთა განხილვის დროს წინანდებურადვე ეცდებიან თავს მოგვახვიონ სახელმწიფოთა გარკვეული სამხედრო დაჯგუფების ვიწრო ინტერესებით ნაკარნახევი თავიანთი პირობები, მსგავსად იმისა, როგორც ეს მოხდა განიარაღების ქვეკომიტეტის მრავალი წლის მუშაობის დროს ლონდონში, მაშინ შეთანხმებისათვის საფუძველი არ არის და არც შეიძლება იყოს. როგორც ფაქტები ცხადყოფენ, ჯერჯერობით არ ჩანს, რომ დასავლეთის სახელმწიფოები სერიოზულად ესწრაფოდნენ შეთანხმებას განიარაღების პრობლემის რადიკალური გადაჭრის შესახებ.

დღეს, ნათქვამია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, საკითხი ასე დგას: დასავლეთის სახელმწიფოები კვლავაც გამოიგონებენ სხვადასხვა დაბრკოლებას უმაღლეს დონეზე თათბირის მომზადების მსვლელობაში და საქმეს ომის საფრთხის გასაძლიერებლად წარმართავენ, რასაც სწორედ ემსახურება ნატოს საბჭოს მაისის სესია, თუ დაადგებიან პატიოსანი მოლაპარაკებისა და თანამშრომლობის გზას? რაც შეეხება საბჭოთა მთავრობას, იგი ყოველთვის მზად არის ასეთი მოლაპარაკებისა და თანამშრომლობისათვის.

# ჩინელი პიანისტის კონცერტები თბილისში



ამ დღეებში საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში გაიმართა პ. ჩაიკოვსკის სახელობის პიანისტთა და მევიოლინეთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატის პიანისტ ლიუ ში-კუნის კონცერტები.

ლიუ ში-კუნი ჩინეთის მუსიკალური ახალგაზრდობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მან უკვე დიდი ხანია დაიმსახურა ვირტუოზი პიანისტის სახელი, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ცხრამეტი წლისაც არ არის.

მუსიკალური მონაცემები ნიჭიერ ახალგაზრდას ადრე გამოაჩნდა. 5 წლისა უკვე უკრავდა ფორტეპიანოს, ხოლო ათი წლისამ დაიმსახურა პირველი პრიზი ბავშვთა მუსიკალურ კონკურსზე.

ლიუ ში-კუნის დიდმა ნიჭმა მიიქცია ჩინეთის მუსიკალური საზოგადოებრიობის ყურადღება. როცა მას 12 წელი შეუსრულდა, იგი მიიღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ მუსიკალურ კონსერვატორიასთან არსებულ მუსიკალურ სასწავლებელში.

1956 წელს 17 წლის ახალგაზრდა ლიუ ში-კუნი ხდება ლისტის სახელობის პიანისტთა მეორე საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი (მესამე პრემია).

ამჟამად ლიუ ში-კუნი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური კონსერვატორიის პირველი კურსის სტუდენტია. იგი უკანასკნელი თვეების განმავლობაში გულმოდგინედ ემზადებოდა ჩაიკოვსკის სახელობის პიანისტთა და მევიოლინეთა საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობისათვის, რომელიც მოსკოვში გაიმართა, სწავლობდა ჩაიკოვსკის ნაწარმოებებს. მას დიდ დახმარებას უწევდა ერთი თვალსაჩინო საბჭოთა პროფესორი ს. ფეინბერგი.

ლიუ ში-კუნმა პ. ჩაიკოვსკის სახელობის პიანისტთა და მევიოლინეთა საერთაშორისო კონკურსზე განაცვიფრა მსმენელები ლისტის, ჩაიკოვსკის ნაწარმოებების ვირტუოზული შესრულებით და დამსახურებულად მოიპოვა კონკურსის ლაურეატობა, მეორე პრემია.

თბილისის მსმენელების წინაშე ჩინელი პიანისტი წარსდგა მრავალფეროვანი პროგრამით. მან შესანიშნავად შეასრულა ბახის, ლისტის, შოსტაკოვიჩის, რახმანინოვის, სკრიაბინის, შოპენის ნაწარმოებები. მსმენელებს იტაცებდა პიანისტის შესრულების ბრწყინვალე ტექნიკა, ეროვნული სტილი, რომლითაც ის ამკობდა თვითეულ ნაწარმოებს.

ჩინელი კომპოზიტორების ნაწარმოებებიდან მის რეპერტუარში იყო ცუიეის „ცეკვა ფერადი დოლებით“, ძინ შენ-დის საბავშვო სიუიტა და სხვ.

საქართველოს ფილარმონიის საზაფხულო თეატრში ერთ-ერთ კონცერტზე ლიუ ში-კუნმა ჩაიკოვსკის სახელობის პიანისტთა და მევიოლინეთა კონკურსის ლაურეატ ლიდ ვლასენკოსთან და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად შეასრულა პ. ჩაიკოვსკის კონცერტი № 1 და ლისტის კონცერტი № 1.

ორკესტრს დირიჟორობდა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ჯ. გოკიელი.

ნიჭიერი ჩინელი პიანისტის კონცერტებს თბილისში დიდი წარმატება ჰქონდათ.

**ლ. ტატიშვილი.**

* * *

სურათზე: ლიუ ში-კუნი როიალთან.

# სპორტის ამბები

## დამთავრდა მშვიდობის ველორბოლა

მშვიდობის ტრადიციული ველორბოლა ერთ-ერთი საინტერესო შეჯიბრება იყო. სპორტსმენებმა მარშრუტით ვარშავა-ბერლინი-პრაღა გაიარეს 2.000 კილომეტრზე მეტი დისტანცია.

ველორბოლის უკანასკნელი ეტაპი ბრნო-პრაღა იყო (225 კილომეტრი). ფინიშთან პირველი მივიდა საბჭოთა ველომრბოლი კაპიტონოვი, რომელმაც მანძილი გაიარა 5 საათსა და 59 წუთში.

შეჯიბრება აღინიშნა სსრ კავშირის გუნდის წარმატებით, რომელმაც მეორე ეტაპიდან ხელთ იგდო ლიდერობა და იგი ბოლომდე შეინარჩუნა. საბჭოთა ველომრბოლებმა აჩვენეს დრო — 178 საათი, 4 წუთი და 44 წამი. მეორე ადგილზე გამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენთა კოლექტივი, მესამეზე — ჰოლანდიის გუნდი.

პირად გუნდურ ასპარეზობაში გაიმარჯვა ჰოლანდიის ველომრბოლმა დამენმა. საბჭოთა სპორტსმენმა ბებენინმა მეორე ადგილი დაიკავა.

## სამამულო ფეხბურთის 60 წელი

მიმდინარე წლის სპორტული სეზონი მრავალფეროვანი და მიმზიდველია. ეს სეზონი აღსანიშნავია იმითაც, რომ სამამულო ფეხბურთს 60 წელი უსრულდება. საბჭოთა სპორტსმენები, კერძოდ, ფეხბურთელები თავიანთ დღესასწაულს ახალი წარმატებებით ხვდებიან.

ჩვენში ფეხბურთი მილიონთა სპორტია. ათეული წლების მანძილზე დიდად გაიზარდა საბჭოთა ფეხბურთელების თამაშის ტექნიკა და ტაქტიკა. ისინი ახალ გამარჯვებებს აღწევენ საერთაშორისო შეხვედრებში.

სამამულო ფეხბურთის 60 წლისთავის აღნიშვნის დღეებში საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი დიდი პასუხსაგები ამოცანების წინაშე დგას. იგი მონაწილეობას იღებს მსოფლიო პირველობის გათამაშების დასკვნით ასპარეზობაში, რომელიც შვეციაში გაიმართება.

პირველობის გათამაშების კალენდრის მიხედვით საბჭოთა ფეხბურთელები პირველ მატჩში შეხვდებიან ინგლისის ნაკრებ გუნდს, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესია. ამიტომ ფეხბურთელთა ამ კოლექტივების დღევანდელი ამხანაგური მატჩი მოსკოვში ორივე გუნდის ძალთა ერთგვარი შემოწმებაც იქნება.

## კიდევ ერთი გამარჯვება

ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა ძალოსნების გამოსვლებისადმი. მორიგი შეჯიბრება სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შტანგისტთა შორის გაიმართა დეტროიტში. საბჭოთა ძალოსნებმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს, მოიგეს შეხვედრა ანგარიშით 4:3.

## რესპუბლიკური ჩემპიონატი ჭადრაკში

თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გრძელდება საქართველოს 1958 წლის პირველობის გათამაშება ჭადრაკში. მასში მონაწილეობას იღებენ ოსტატები და ოსტატობის კანდიდატები, აგრეთვე ახალგაზრდა ნიჭიერი პირველთანრიგოსნები.

17 მაისამდე გათამაშდა 5 ტური. შეხვედრათა უმრავლესობა ხასიათდებოდა შეუპოვარი ბრძოლით. პირველობის გათამაშების ლიდერია ოსტატი გურგენიძე, რომელსაც 4 ქულა აქვს. კასპარიანს 5 შესაძლებლიდან 3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ბლაგიძესა და მაჭავარიანს — სამნახევარ-სამნახევარი ქულა.

## საქართველოს მრავალდღიანი ველორბოლა

საქართველოს მრავალდღიანი ველორბოლის მონაწილეები წარმატებით განაგრძობენ ბრძოლას. დღემდე გამართულ შეჯიბრებათა მაჩვენებლები კარგია. საშუალო სისწრაფე საათში 39-40 კილომეტრს შეადგენს.

როგორც ვიუწყებოდით, პირველ ეტაპზე (თბილისი-ხაშური) უკეთესი დრო აჩვენა დინამოელმა თავაძემ. უკან დაბრუნებისას განსაკუთრებით საინტერესო იყო ბრძოლა ფინიშთან. აქ უძლიერესი აღმოჩნდა სპარტაკელი ბირიუკოვი, რომელმაც 140 კილომეტრი 3 საათსა და 37 წუთში გაიარა.

16 მაისს ველომრბოლებმა თბილისიდან კურსი ბორჯომისაკენ აიღეს. გამარჯვება მოიპოვა თავაძემ. მეორე ადგილზე გამოვიდა შენგელია, მესამეზე — კვინიკაძე.

# კომუნიკე

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებს შორის 1959-1965 წლებში საქონლის ურთიერთმიწოდების საკითხებსა და ეკონომიური თანამშრომლობის ცალკეულ საკითხებზე მოლაპარაკების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმების მომზადებასთან დაკავშირებით 1958 წლის 4 მაისიდან 15 მაისამდე მოსკოვში მიმდინარეობდა მოლაპარაკება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ი. კუზმინი, და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას შორის, რომელსაც მეთაურობდა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე ჩენ ირ ლენი.

მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დაინტერესებულ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებმა და ექსპერტებმა.

კორეის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდა აგრეთვე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ლი სინ ფხარი.

მოლაპარაკების პერიოდში, რომელიც მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, დელეგაციებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები 1959-1965 წლებში საქონლის ურთიერთმიწოდებაზე და სსრ კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ეკონომიური თანამშრომლობის ცალკეულ საკითხებზე. დელეგაციებმა აღნიშნეს, რომ ურთიერთ საქონელბრუნვა და ეკონომიური თანამშრომლობა ორივე ქვეყანას შორის ვითარდება სრული თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე.

მიღწეულია თანხმობა საკითხზე, რომ საბჭოთა კავშირმა ტექნიკური დახმარება გაუწიოს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას სამრეწველო საწარმოთა მშენებლობასა და გაფართოებაში პროექტების შედგენისა და კომპლექტური მოწყობილობის მიწოდების გზით, აგრეთვე კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1959-1965 წლებში შავი და ფერადი ლითონების, მანქანებისა და მოწყობილობის, კაბელის ნაწარმის, ნავთობპროდუქტების, ბამბის, შაქრისა და სხვა სამრეწველო საქონლის მიწოდების საკითხზე.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა სსრ კავშირს მიაწვდის ფერად ლითონებს, ხარისხოვან ფოლადს, თუჯს, კალციუმის კარბიდს, აბრეშუმის ქსოვილებს, ხილსა და სხვა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საქონელს.

მოლაპარაკების მსვლელობაში დელეგაციები შეთანხმდნენ, რომ საბჭოთა კავშირმა ტექნიკური დახმარება გაუწიოს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში წარმოების ორგანიზაციასა და გაუმჯობესებაში.

დელეგაციები შეთანხმდნენ, რომ გამართული მოლაპარაკება დაეხმარება ორივე ქვეყანას უფრო სრულად გაითვალისწინონ ურთიერთ ინტერესები სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმების შემუშავების დროს.

მოლაპარაკების შედეგად დელეგაციებმა ხელი მოაწერეს შესაბამის ოქმს.

# პრეზიდენტი ნასერი სამშობლოში დაბრუნდა

**კაირო**, 16 მაისი. (საკდესი). დღეს კაიროში დაბრუნდნენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ნასერი და მისი თანმხლები პირები.

პრეზიდენტ ნასერს აღფრთოვანებული შეხვედრა მოუწყეს.

# საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

**პარიზი**, 16 მაისი. (საკდესი). დღეს საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ 461 ხმით 114 ხმის წინააღმდეგ მოიწონა მთავრობის კანონპროექტი საფრანგეთის ტერიტორიაზე სამი თვის ვადით საგანგებო წესების შემოღების შესახებ.

**პარიზი**, 16 მაისი. (საკდესი). შესვენების შემდეგ, რომლის დროსაც შინაგან საქმეთა კომისიამ ხმის უმრავლესობით მოიწონა პფლიმლენის მთავრობის მიერ შეტანილი კანონპროექტი საფრანგეთის ტერიტორიაზე საგანგებო წესების შემოღების შესახებ, დეპუტატებმა განაგრძეს ამ კანონპროექტისა და საფრანგეთის საერთო ვითარების განხილვა.

უკიდურესი მემარჯვენე პარტიებისა და დაჯგუფებების წარმომადგენლებმა — „სოციალურმა რესპუბლიკელებმა“, „სოციალური მოქმედების ჯგუფისა: დამოუკიდებელთა პარტიის“ წევრებმა აგრეთვე ისეთმა მემარჯვენე მოღვაწეებმა, როგორიც არის ჟორჟ ბიდო, ვაილაშერეს პფლიმლენის კანონპროექტს წინააღმდეგ ქება-დიდებას ასხამდნენ რა დე გოლის გუშინდელ განცხადებას, რომ იგი „მზად არის სათავეში ჩაუდგეს ხელისუფლებას რესპუბლიკაში“, ისინი ამტკიცებდნენ, თითქოს მხოლოდ მას „შეუძლია იხსნას რესპუბლიკა და საფრანგეთი“.

ამის საწინააღმდეგოდ კანონპროექტს მხარი დაუჭირეს პარლამენტის მემარცხენე ჯგუფების წარმომადგენლებმა. სოციალისტური პარტიის ლიდერმა გი მოლემ აღნიშნა, რომ დე გოლის განცხადება ორაზროვანია და აღიზიანებს საზოგადოებრივ აზრს. „დე გოლის განცხადება, — თქვა ორატორმა, — შეშფოთებას იწვევს არა იმდენად იმით, რაც მასშია ნათქვამი, რამდენადაც იმით, რაც მასში არ არის ნათქვამი“.

მეორე ორატორმა სოციალისტმა ნეგლენმა განაცხადა, რომ თავისი პოზიციით გენერალი დე გოლი „ემუქრება საზოგადოებრივ თავისუფლებებს“. „დე გოლის წინაშე ჩვენ ვაერთიანებთ ჩვენს რიგებს. — განაგრძო მან. — მოვუწოდებთ ყველა მშრომელს, ყველა რესპუბლიკელს წინააღმდეგობა გაუწიონ დე გოლის პრეტენზიას, რომელიც თავისთავს სახელმწიფოზე მაღლა აყენებს“, — განაცხადა ნეგლენმა დეპუტატთა უმრავლესობის ტაშის გრიალში.

დე გოლის განცხადება დაგმო ეროვნული კრების თავმჯდომარემ ლე ტროკერმაც.

კომუნისტთა საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარემ ჟაკ დიუკლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლანდელ მძიმე მომენტში, რასაც საფრანგეთი განიცდის, კომუნისტები ზრუნავენ მხოლოდ ერთ რამეზე — რესპუბლიკის დაცვაზე. მან გაიხსენა, რომ პფლიმლენის მთავრობის რწმუნებათა დამტკიცებისას კომუნისტებმა თავი შეიკავეს და ამით დაეხმარნენ მთავრობის კრიზისის გადაჭრას. ახლა საფრთხე დიდია, თქვა დიუკლომ. კომუნისტური პარტია მთელი თავისი ძალებით ხელს შეუწყობს რესპუბლიკური ინსტიტუტების დაცვას.

დიუკლომ თქვა, რომ შექმნილი ვითარების გამო კომუნისტები ხმას მისცემენ საფრანგეთში საგანგებო წესების შემოღებას.

შემდეგ კვლავ გამოცხადდა შესვენება.

# სატელევიზიო სტუდიაში

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში ამას წინათ წარმატებით მოეწყო ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ცენტრალური და რესპუბლიკური რადიომაუწყებლობის და გაზეთების მეშვეობით ყოველდღიურად ადევნებდნენ თვალყურს დეკადის მიმდინარეობას. ამავე დროს ქართული დეკადის მნიშვნელოვანი მომენტები კინოფირზე აღბეჭდეს როგორც რუსმა, ისე ქართველმა კინემატოგრაფისტებმა. მოსკოვის დოკუმენტური ფილმების ცენტრალურმა კინოსტუდიამ ქართულ დეკადას კინოჟურნალ „ხელოვნების“ სპეციალური ნომერი მიუძღვნა. უახლოეს ხანში მაყურებლები აგრეთვე კინოეკრანზე ნახავენ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მიერ გადაღებულ დეკადისადმი მიძღვნილ ფერად ფილმს.

რამდენიმე დღის წინათ თბილისის ტელესტუდიამ მოსკოვის ცენტრალური სატელევიზიო სტუდიიდან მიიღო დოკუმენტური ფილმი, რომელიც ასახავს დიდ თეატრში ჩატარებული ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის მონაწილეთა დასკვნით კონცერტს. საინტერესოა, რომ ეს ფილმი გადაღებულია კონცერტის ტელეტრანსლაციის დროს ტელევიზორის ეკრანიდან ახალი აპარატით — კინოსკოპით.

ამ წესით გადაღებულ ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის მონაწილეთა დასკვნით კონცერტს ჩვენი ტელემაყურებლები ნახავენ ორშაბათს, 19 მაისს, საღამოს 19 საათსა და 30 წუთზე.

**გ. ძნელაძე.**

# არდადეგების დროს

მალე დაიწყება მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგები. ბევრი მოსწავლე ზაფხულის ცხელ დღეებს გაატარებს ჩვენი ქვეყნის შესანიშნავ კურორტებზე — სანატორიუმებსა და პიონერთა ბანაკებში.

წელს ჩვენს რესპუბლიკაში 6-10 ივნისიდან იმუშავებს 70 პიონერთა ბანაკი. ეს ბანაკები იქნება შავი ზღვის სანაპირო კურორტებზე — აჭარასა და აფხაზეთში, ბორჯომის ხეობაში, ბაკურიანში, სურამში, მაღალმთიან აგარაკებზე — ბახმაროსა და ჯავაში, თბილისის საგარეუბნო კურორტებზე — კოჯორში, კიკეთში, წყნეთში, მანგლისში და სხვ. ისინი მომსახურებას გაუწევენ 32.000 ბავშვს. ახალი ბანაკები გაიხსნება წყნეთში, ბაზალეთში.

ქალაქში დარჩენილი ბავშვებისათვის კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტი და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი ქალაქის ულამაზეს ადგილებში აწყობენ 7 საქალაქო ბანაკს კვებით. აქ დაისვენებს 1.400 ბავშვი. ასეთი საქალაქო ბანაკები მოეწყობა აგრეთვე ბათუმსა და სოხუმში.

ამჟამად მიმდინარეობს ბანაკების გახსნისათვის მოსამზადებელი სამუშაოები — შენობათა რემონტი, ტერიტორიის კეთილმოწყობა-გამწვანება, კადრების შერჩევა და სხვ.

15 მაისიდან თბილისში მუშაობას შეუდგა უფროსი პიონერხელმძღვანელების, აღმზრდელ-პედაგოგების, მედიცინის და ფიზკულტურული დარგის მუშაკთა გადასამზადებელი სემინარები.

# დაიწყო საგაზაფხულო-საზაფხულო ნავიგაცია

**სოხუმი** (საკ. კორ.). ამ დღეებში, ზამთრის სიწყნარის შემდეგ, არაჩვეულებრივი გამოცოცხლებაა სოხუმის სანაპიროზე.

კურორტ-ქალაქის საზღვაო ნავსადგურში ახალი განრიგით ზუსტად დანიშნულ დროს მოდიან შავი ზღვის სამგზავრო ფლოტის ფლაგმანი გემი „ადმირალი ნახიმოვი“, რომელმაც გახსნა საგაზაფხულო-საზაფხულო ნავიგაცია, დიზელელექტრომავლები „როსია“, „ლენსოვეტი“ და თბომავალი „უკრაინა“.

ახლით მგზავრი ჩამოდის სოხუმში. მათ შორის ბევრი ტურისტულ მოგზაურობას შავი ზღვის სანაპიროზე ატარებს.

მხოლოდ მეორე წელია, რაც შავ ზღვაზე დადის „ადმირალი ნახიმოვი“, მაგრამ მისი კომკავშირულ-ახალგაზრდული ეკიპაჟი აუზში საუკეთესოთა რიგებში ჩადგა. წარმატებით დაამთავრა რა გასული წლის ნავიგაცია, შავი ზღვის გემთა ეკიპაჟებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში მეოთხე კვარტალში მას გადაეცა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თასი და ფულადი პრემია.

„ადმირალ ნახიმოვის“ ეკიპაჟი დაუღალავად აუმჯობესებს მგზავრთა მომსახურებას, უქმნის მათ ყოველგვარ პირობებს მოგზაურობის დროს კარგი დასვენებისათვის.



გემი „ადმირალი ნახიმოვი“. ფოტო ს. კოროტკოვისა.

**რედაქტორი პ. რატიანი.**

# დღეს

## თბილისის თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — ტოსკა (დღისით), ორლეანელი ქალწული (1-ლი აბ. მე-6 წარმ. საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — ჩვენებურები (დღისით), ხალისიანი მეგობრები (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** მარინე (დღისით), მეფე ერეკლე (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — გადამდები კოცნა (დღისით და საღამოს), **სომხური დრამის** — ფარჰად და შირინი, **მუსიკალური კომედიის** — ნაბიჭვარი (8 ს. 30 წ.), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კომბლე (10 ს., აბ. № 10, 2 ს., აბ. № 40), აჭყეუნოური სამოთხე — (7 ს. აბ. № 15), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — უეცარი სიმდიდრე (11 ს., 6 ს.), **ფილარმონიის საზაფხულო** — კონცერტი-ლექცია „ბრამსი“ (3 ს.), პიანისტ გლებ აქსელროდის კონცერტი (6 ს., ყველა აბონემენტისათვის), საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო კონცერტი (9 ს.)).

## კინოთეატრებში

**რუსთაველის სახელობის**, ამირანი (საზამთრო), ისანი (საზამთრო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი, ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — ეს არ იყო ამაოდ, **ამირანი** (საზაფხულო), **ფილარმონიის ბაღი, 26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **გორკის სახელობის კულტურის სახლი** — „პრელთა“ საქმე, **თბილისი** — კატერინა, **კომკავშირელი** — პეტერი, **კოლხიდა** (საზამთრო), **კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი** — ჩექმებიანი კატის ახალი თავგადასავალი, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი) — ორი აღიარება, **საქართველო** (წითელი დარბაზი) — აქტრისა, **კოლხიდა** (საზაფხულო) — ბერლინის რომანი, **ოფიცერთა სახლი** — ანათე, ჩემო ვარსკვლავო, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზაფხულო)—შიშის საფასური (I და II სერია), **კოლმეურნე, საქართველო** (საზაფხულო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზაფხულო) — ქართული კინოფილმების ფესტივალი, **დიდუბე** (საზაფხულო) — ჯუზეპე ვერდი, **სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლი** — ჰიქა ლუდი, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — ის თუ არა ეს, **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი**—გაზაფხულზე, **ყაზბეგი** — დიდი და პატარა, **დიდუბე** (საზამთრო) — რიტა.

## ტელეგადაცემათა პროგრამა

**18 მაისისათვის**

12.00 — პიონერთა საკავშირო დღისადმი მიძღვნილი გადაცემა — „ჩვენი ქვეყნის ყვავილები“. 13.00 — დოკუმენტური ფილმი „ქალაქი ნევაზე“. 19.30 — სატელევიზიო ჟურნალი „ხელოვნება“ № 9. 20.30 — კინონარკვევი. 20.50 — მხატვრული ფილმი „პირადად ცნობილია“.

**19 მაისისათვის**

19.30 — ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დასკვნითი კონცერტი მოსკოვში (გადაღებული კინოსკოპით დიდი თეატრიდან ტრანსლაციის დროს ტელევიზიის ცენტრალური სტუდიის მიერ). 21.00 — მხატვრული ფილმი „თოლიები კვდებიან ნავსადგურში“.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხული

სამშაბათს, 20 მაისს
დ. თორაძე

ჩრდილოეთის პატარძალი

ლიბრეტო ი. ნონეშვილისა, ოპერა 3 მოქმ.

პარასკევს, 23 მაისს, საღამოს
სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ლენინური და სტალინური პრემიების ლაურეატის ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით

ა. მაჭავარიანი

ოტელო

კვირას, 25 მაისს, დღისით
ა. ბუკია

დაუპატიჟებელი სტუმრები

ოპერა 3 მოქმ. დასაწყისი დღის 12 ს.
სპექტაკლები წავა უაბონემენტოდ.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს კურორტოლოგიის კათედრაზე კლინიკურ ორდინატურაში (1 ადგილი). კონკურსის ვადაა ა. წ. 16 ივნისამდე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

საჭირო საბუთები განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექციაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12).

უე 02559 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. 3